საქართველოს ჟურნალისტური
ეთიკის ქარტიის საქმიანობის

წლიური ანგარიში

2017

შინაარსი

შესავალი 2
საერთო კრება 2
თვითრეგულირების გაძლიერება 4
საბჭოს საქმიანობა 4
მედიაგარემოს გაუმჯობესება 7
საბჭოს განცხადებები 7
საპროტესტო აქციები 7
საკანონმდებლო პროცესში ჩართულობა 9
რეაგირება გამოხატვის თავისუფლებისთვის სახიფათო ინიციატივებზე 9
მედიის სტანდარტების განვითარება 10
ტრენინგები 10
სახელმძღვანელო წესები 11
პუბლიკაციები, მედიამონიტორინგები 12
მედიაკრიტიკა 14
კონსულტაცია ჟურნალისტებისთვის 14
ორგანიზაციული განვითარება 15
ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა 15
AIPCE 2019 წელს საქართველოში გაიმართება 16
საბჭოს რამდენიმე გადაწყვეტილება 17
ელისო ჯანაშია დავით კაკულიას და ნოდარ მელაძის წინააღმდეგ 17
გიორგი მგალობლიშვილი გიორგი ჩომახაშვილის წინააღმდეგ 18
სსიპ ქალაქ ხობის №2 საჯარო სკოლა დიტო ჩუბინიძის წინააღმდეგ 19
PHR ნატა ტაბიძის წინააღმდეგ 21
პარტია „თავისუფალი საქართველო“ ლევან ჯავახიშვილის და ბელა ზაქაიძის წინააღმდეგ 23
თანასწორობის მოძრაობა ინგა გრიგოლიას წინააღმდეგ 25
აუდიტორია 115 გიორგი კვიტაშვილის წინააღმდეგ 26
PHR მარი მალაზონიას წინააღმდეგ 27
თბილისის მერი დავით ნარმანია გიორგი გაბუნიას და მაია ლომიძის წინააღმდეგ 29
სახალხო დამცველი გიორგი მგელაძის წინააღმდეგ 31
სახალხო დამცველი ნათია ამირანაშვილის წინააღმდეგ 33
საია ირაკლი კიკნაველიძის და თამარ ჩერგოლეიშვილის წინააღმდეგ 36
PHR ნანიკო ხაზარაძის, სოფიკო ნარჩემაშვილის, ეკა ამირეჯიბის, ლელა მებურიშვილის და თამარ ღვინიანიძის წინააღმდეგ 37

შესავალი

2017 წელს მედია ახალი გამოწვევების წინაშე დადგა - არაერთი ინიციატივა გაისმა, რომელიც მედიის და ზოგადად გამოხატვის თავისუფლების საფრთხეს უქმნიდა - იქნებოდა ეს მოსამართლეთა კრიტიკის შეზღუდვის სურვილი, ჟურნალისტისთვის წყაროს გათქმის დავალდებულება, მედიაომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნა თუ სიძულვილის ენის თვითრეგულირებიდან რეგულირებაში გადატანა. არც ერთი აღნიშნული მცდელობა ვერ რეალიზდა, თუმცა ცხადად გამოჩნდა მედიის კონტროლის სურვილი და მოსალოდნელია, რომ ამ თემებზე მსჯელობა გაგრძელდება. ცალკე უნდა აღინიშნოს აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, ავფგან მუხტარლის თბილისიდან გატაცების საქმე, რომელიც კვალავც ბურუსითაა მოცული და ჟურნალისტებმა ვერ მიიღეს ბევრ კითხვაზე პასუხი. ამიტომაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მედიის წარმომადგენელთა შეთანხმებული პოზიცია და ღირებულებები.

ამ პროცესში კი სულ უფრო ძლიერდება მედიის თვითრეგულირების, შესაბამისად ქარტიის როლი. ჟურნალისტებმა უნდა შეძლონ აჩვენონ საზოგადოებას, დაინტერესებულ პირებს, რომ თავად შესწევთ უნარი დაშვებული ხარვეზების გამოსწორების, სტანდარტების გაუმჯობესების და აღარ დატოვონ ადგილი რეგულირების სურვილისთვისაც კი.

წინამდებარე ანგარიში ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის 2017 წლის მუშაობას ასახავს არსებული გამოწვევების საპასუხოდ. ქარტია საკუთარი სტრატეგიული გეგმის თანახმად რამდენიმე მიმართულებით მუშაობს, მათ შორისაა ქარტიის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება, ჟურნალისტთა პროფესიული განათლება, უფლებები და მედიაგარემო, ქარტიის ორგანიზაციული მართვის დახვეწა და ქარტიის ფინანსური შესაძლებლობების განვითარება. განხორციელებული აქტივობები სწორედ ამ ძირითადი გეგმის შესაბამისად არის წარმოდგენილი.

1. საერთო კრება

წესდების თანახმად საერთო კრება ყოველწლიურად იკრიბება დეკემბრის თვეში და ორგანიზაციის განვითარებისთვის საჭირო საკითხებს განიხილავს, ამასთან ირჩევს საბჭოს ახალ 3 წევრს - ერთს დედაქალაქიდან, ორს კი - რეგიონის მედიასაშუალებებიდან. 2016 წელს საერთო კრება 24 დეკემბერს გაიმართა. საკუთარი მოხსენებები გააკეთეს აღმასრულებელმა დირექტორმა და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ. წელს პირველად ორგანიზაციის წლიური ანგარიში შეიქმნა და მისი გაცნობის საშუალება ქარტიის წევრების საერთო კრებაზევე ჰქონდათ.

ქარტიის წევრებმა იმსჯელეს ორგანიზაციის შემოსავლების დივერსიფიკაციაზე, განიხილეს საწევროების დაწესების შესაძლებლობა, თუმცა საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ სავალდებულო გადასახდელის ნაცვლად ყოფილიყო ნებაყოფლობითი შემოწირულობა. რაში დაიხარჯება შეგროვებული თანხა, შეთანხმების თანახმად, უნდა გაირკვეს 2017 წლის საერთო კრებაზე.

გასული წლების მსგავსად დისკუსიისას განსაკუთრებული კამათი გამოიწვია საბჭოს წევრებისთვის კვოტების მოხსნის საკითხმა. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად სულ უფრო რთულდება იმის გარკვევა, თუ რომელი მედიასაშუალებაა რეგიონული და რომელი დედაქალაქის. გარდა ამისა, კვოტები ხელოვნურ ბარიერად იქცა კანდიდატთა არჩევისას. საბჭოს წევრები კი უნდა ირჩეოდნენ საკუთარი გამოცდილებისა და მოტივაციის საფუძველზე და მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმას სად მუშაობენ ტერიტორიულად - დედაქალაქში თუ რეგიონებში. საერთო კრებაზე მიღწეული შეთანხმების თანახმად, საკითხი დადგა ელექტრონულ კენჭისყრაზე, სადაც ქარტიის წევრებმა არ დაუჭირეს მხარი კვოტების გაუქმების ინიციატივას.

კიდევ ერთი ორგანიზაციული ცვლილება, რომელიც ამავე ელექტრონულ კენჭისყრაზე გადაწყდა, იყო სარევიზიო კომისიის წევრის ინტერესთა კონფლიქტი. წესდებაში ნათქვამია, რომ სარევიზიო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს ქარტიის "მუდმივი ანაზღაურების მქონე" თანამშრომელი. რადგან ქარტიიდან ანაზღაურებას ყველა პირი პროექტების შესაბამისად იღებს, რეალურად არ არსებობს "მუდმივი ანაზღაურება". ამასთან სალომე ცეცხლაძე, რომელიც სარევიზიო კომისიის წევრი იყო, პარალელურად მონაწილეობდა ქარტიის მედიამონიტორინგის პროექტში და შესაბამისად, გარკვეულ ანაზღაურებას იღებდა. ამიტომაც დადგა საკითხი, გამჭვირვალობის უფრო მაღალი სტანდარტის დაწესებულიყო და არსებული ჩანაწერი გაგებულიყო ისე, რომ სარევიზიო კომისიის წევრს არ აეღო რაიმე სახის ანაზღაურება ქარტიიდან. ელექტრონულ კენჭისყრაში მონაწილეთა უმრავლესობამ მიიჩნია, რომ სარევიზიო კომისიის წევრს უნდა ეკრძალებოდეს რაიმე სახის ანაზღაურების მიღება ქარტიიდან. ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სალომე ცეცხლაძემ დატოვა სარევიზიო კომისია, მისი ადგილი კი დაიკავა ლაშა ზარგინავამ, რადგან სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევისას ხმების რაოდენობით ის იყო შემდეგ ადგილზე. საერთო

„ქარტიის პრიზი 2016-ის" გამარჯვებულები

კრებაზე ტრადიციისამებრ გამოვლინდნენ ქარტიის პრიზი 2017ის გამარჯვებულები შემდეგ

- კატეგორიებში: საუკეთესო სტატია/ნარკვევი
- საუკეთესო სატელევიზიო/ვიდეორეპორტაჟი
- საუკეთესო მულტიმედია პროექტი
- საუკეთესო ჟურნალისტური გამოძიება
- ბავშვთა საკითხების საუკეთესო გაშუქება

პირველ ოთხ კატეგორიაში კონკურსი გამოცხადდა IREX-ის პროექტის მხარდაჭერით, ხოლო "ბავშვთა საკითხები" დაწესდა გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის მიერ. შესაბამისად, გამარჯვებულისთვის გადასაცემი პრიზის შეძენის ხარჯიც გაიღო იუნისეფმა.

ჟიურიმ შემოსული საკონკურსო ნამუშევრებიდან გამოავლინა გამარჯვებულები:

- საუკეთესო სტატია – თამუნა უჩიძე – სადავო სამკვიდრებელი (სამხრეთის კარიბჭე)
- საუკეთესო მულტიმედია პროექტი – ნეტგაზეთი, პროექტი "უჩინრები"
- საუკეთესო ჟურნალისტური გამოძიება – ნინო რამიშვილი, გიორგი მგელაძე – აგენტი
- პროვოკატორი ხელსუფლების სამსახურში 2 (სტუდია მონიტორი)
- ბავშვთა საკითხების სიღრმისეულად გაშუქება – სასკოლო განათლება "რეალურ
- სივრცეში" (საზოგადოებრივი მაუწყებელი)

აღსანიშნავია, რომ წელს პირველად გაეროს ქალთა ორგანიზაციამ გამოთქვა ქარტიასთან თანამშრომლობა და ქალთა უფლებების შესახებ დაწერილი სტატიების წახალისება. ჟიურის გადაწყვეტილებით, ქალთა უფლებების მიმართულებით მნიშვნელოვანი პრობლემის წარმოჩენაში ქარტიის და გაეროს ქალთა ორგანიზაციის სპეციალური პრიზი გადაეცა აიდა მირმაკსუმოვას სტატიისთვის „საქართველოში გოგონათა წინადაცვეთის ფაქტები გამოვლინდა" (ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი). ჟიურის გადაწყვეტილებით, 2016 წელს პრიზი არ გაიცა ნომინაციაში "საუკეთესო ვიდეორეპორტაჟი".

თვითრეგულირების გაძლიერება

ქარტიის, როგორც ქვეყანაში არსებული მედიის დამოუკიდებელი თვითმარეგულირებელი ორგანოსთვის პრიორიტეტია ამ მექანიზმის ეფექტიანობის გაზრდა, რათა მოქალაქეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა ჟურნალისტის მიერ ეთიკური პრინციპების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს ამ ორგანოს. ამ მიმართულებით პროგრესს აჩვენებს ქარტიაში მიღებული განცხადებების რაოდენობით ზრდა და აპლიკანტების მრავალფეროვნება.

თვითრეგულირების მექანიზმის გაძლიერებაში ფუნდამენტური როლი აკისრია საბჭოს და მის მიერ საქმეების დროულად და მიუკერძოებლად განხილვას.

საბჭოს საქმიანობა

2016 წელს უფლებამოსილების ვადა ამოეწურა ქარტიის საბჭოს სამ წევრს: ნინო ზურიაშვილს, ირინა ყურუას და ნინო ნარიმანიშვილს. ქარტიის წევრებმა მათ ნაცვლად აირჩიეს სამი ახალი წევრი დედაქალაქის კვოტით გიორგი მგელაძე (სტუდია მონიტორის ჟურნალისტი), რეგიონის კვოტით კი - თამარ უჩიძე (სამხრეთის კარიბჭის ჟურნალისტი) და თეა ზიბზიბაძე (ქუთაისიპოსტის რედაქტორი). საბჭოს წევრებმა თავმჯდომარედ აირჩიეს გიორგი მგელაძე.

შესაბამისად, 2017 წელს ქარტიის საბჭოს შემადგენლობა ასეთი იყო:

1. გიორგი მგელაძე
2. მაია მეცხვარიშვილი
3. თაზო კუპრეიშვილი
4. ნინო ჯაფიაშვილი
5. თამარ უჩიძე
6. თეა ზიბზიბაძე
7. ჯაბა ანანიძე
8. გერონტი ყალიჩავა
9. მაია მამულაშვილი

განხილული საქმეები:

საერთო ჯამში საბჭომ 2017 წლის 1 იანვრიდან 1 დეკემბრამდე 51 საქმე განიხილა. აპლიკანტების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა მიმდინარე წელი. მათ შორის იყვნენ როგორც რიგითი მოქალაქეები ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის, კერძო კომპანიების წარმომადგენლები. ქარტიას განცხადებით მომართა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სასულიერო პირმა. 2017 წელს განიხილა საბჭომ პირველად არასრულწლოვანის განცხადება ერთ-ერთი გაზეთის წინააღმდეგ და დისკრიმინაცია დაადგინა.

გამორჩეული იყო საქმის განხილვა ხობში, სადაც გასვლითი სხდომა ჩაატარა საბჭომ და იმსჯელა ხობის N2 საჯარო სკოლის განცხადებაზე „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტის, დიტო ჩუბინიძის წინააღმდეგ. საბჭომ ადგილზე მოუსმინა სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც აღწერდნენ თუ რა ზიანი მოუტანა მათ გაზეთის მიერ მათ შესახებ გამოქვეყნებულმა მასალამ. საბჭომ საქმის განხილვის შემდეგ სადავო მასალაში რამდენიმე პრინციპის დარღვევა დაადგინა.

განხილული საქმეებიდან მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა იყო, როდესაც მოპასუხე ჟურნალისტმა არ ითანამშრომლა საბჭოსთან, არ დაესწრო სხდომას და არც შეპასუხება გამოგზავნა წერილობითი სახით.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გაიზარდა მედიაციის რაოდენობა. 2017 წელს ჯამში 11 საქმეზე შედგა მედიაცია, მაშინ როდესაც 2016 წელს არც ერთი მედიაცია არ ყოფილა. ამ მექანიზმს საბჭო იყენებს მაშინ, როდესაც მედიასაშუალება თანახმაა ჩაასწოროს მასალა ან დააკმაყოფილოს განმცხადებლის სხვა მოთხოვნა. ორივე მხარესთან შეთანხმების შემდეგ საბჭო აღარ იხილავს საქმეს, არ იღებს გადაწყვეტილებას და ფორმდება მედიაცია.

ამ მექანიზმის გამოყენების გაზრდა მიუთითებს, რომ სულ უფრო მეტი ჟურნალისტი აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას და თუკი შესაძლებელია თანახმაა ჩაასწოროს მასალა, გაასწოროს უზუსტობის გასწორება ანდა მოხსნას ის ფოტო, რომელიც ზიანს აყენებს ამა თუ იმ პირს და აშ.

რამდენიმე შემთხვევაში საბჭოს გადაწყვეტილების შემდეგ მედიასაშუალებამ ჩაასწორა მასალა ან შემდეგ გამოაქვეყნა დამაზუსტებელი ინფორმაცია.



ქარტია, როგორც პროფესიული გაერთიანება, ადვოკატირებას უწევდა სხვადასხვა პროცესს. ცდილობდა ხელი შეეწყო მედიაგარემოს გაუმჯობესებისთვის. ამისათვის ჩართული იყო კანონპროექტების განხილვაში, ავრცელებდა განცხადებებს, აორგანიზებდა აქციებს, მონაწილეობდა დისკუსიებში, კონფერენციებში, აწვდიდა ინფორმაციას ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ხვდებოდა მედიის, უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებს, სკოლის მოსწავლეებს. ქარტიის საბჭო და აღმასრულებელი რგოლი მედიისთვის მიცემული ინტერვიუების საშუალებით აფიქსირებდნენ ორგანიზაციის პოზიციას აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.

საბჭოს განცხადებები

ადვოკატირების ერთ-ერთი ფორმაა ქარტიის მიერ განცხადების გამოქვეყნება და ამა თუ იმ თემაზე გამოხმაურება, რაც ხშირად ხვდება სხვა ორგანიზაციების ანგარიშში. ქარტია მედიაგარემოსთან დაკავშირებით საბჭოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად აქვეყნებს განცხადებას ან უერთდება სხვა ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ დოკუმენტს.

საანგარიშო პერიოდში ქარტიამ გამოაქვეყნა 19 განცხადება, როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად. 2017 წელს აქტუალური იყო საზოგადოებრივ მაუწყებელზე მიმდინარე მოვლენები, შესაბამისად ქარტიის საბჭოს განცხადებების დიდი ნაწილი სწორედ ახალი მენეჯმენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ეხებოდა. გარდა ამისა, წლის დასაწყისში აქტუალური იყო ტელეკომპანია „რუსთავი2-თან“ დაკავშირებით მიმდინარე სასამართლო პროცესები, რასაც ასევე გამოეხმაურა ქარტია.

ასევე გამოაქვეყნა განცხადებები გურიანიუსის ვებსაიტზე ჰაკერულ თავდასხმასთან დაკავშირებით, გამოეხმაურა ჟურნალისტ მაია ასათიანის შვილის გარდაცვალების ფაქტით მანიპულირებას, აგრეთვე სათემო რადიო მარნეულის ჟურნალისტებზე ზეწოლისა და მუქარის ფაქტებს, ჟურნალისტ თამარ მეარაყიშვილის დაკავებას ოკუპირებულ რეგიონში.

ქარტიის საბჭო ყურადღებით აკვირდებოდა აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან მუხტარლის თბილისიდან გატაცების საქმეს და სხვა აქტივობებთან ერთად განცხადებითაც გამოეხმაურა მომხდარ ფაქტს.

წინასაარჩევნოდ გავცელებულ განცხადებაში კი აღნიშნა, რომ ამ პერიოდში შენარჩუნებული უნდა იყოს ჯანსაღი მედიაგარემო, რათა ამომრჩევლებმა მიიღონ საჭირო ინფორმაცია გაცნობიერებული გადაწყვეტილების მისაღებად, აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს ჟურნალისტების თავისუფალი და უსაფრთხო მუშაობა. ბოლოს კი გაავრცელა განცხადება საბაჟოზე აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტის საქმიანობის ხელშეშლასთან დაკავშირებით

საპროტესტო აქციები

ჟურნალისტური ეთიკის ქარტია საკითხზე ფოკუსირებისთვის საპროტესტო აქციის ფორმას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართავს, როდესაც მედიის თუ ჟურნალისტის უფლებების შეზღუდვა აშკარაა და არსებობს ეჭვები და კითხვები ხელისუფლების მიმართ.

2017 წლის 29 მაისს თბილისის ცენტრში გაუჩინარდა აზერბაიჯანელი ჟურნალისტი აფგან მუხტარლი, რომელიც მეორე დღეს ბაქოს ციხეში აღმოჩნდა. ქარტიამ გამართა რამდენიმე საპროტესტო აქცია და ხელისუფლებას სთხოვდა ეპასუხა თუ როგორ გადაკვეთა აზერბაიჯანელმა ჟურნალისტმა ქვეყნის საზღვარი პირადობის დამდასტურებელი დოკუმენტის გარეშე, რა როლი ჰქონდა ამ პროცესში ქართულ მხარეს, ითხოვდა საქმის დროულ გამოძიებას. ერთგვარი პერფომანსი “ტომრების აქცია” პარლამენტშიც გაიმართა. ტომრები გამოყენებული იყოს გატაცების ერთგვარ სიმბოლოდ, რადგან ცნობილია რომ აფგან მუხტარლი სწორედ ტომარაჩამოცმული გაიტაცეს.

ამ თემაზე ქარტიის წარმომადგენლები შეხვდნენ ევროკავშირის ელჩ საქართველოში იანოშ ჰერმანს, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში იან კელის, თუმცა სამწუხაროდ, აფგან მუხტარლი ამჟამად კვლავ ბაქოს ციხეში იმყოფება და ბევრი კითხვა

WHATABOUT
THE EUROPEAN
CONVENTION ON

CA RIVELO
NEY Cant
YME
LOVE
FREEDOM
WHATABO
the EUROPE
CONVENTION
EXTRADIT

#FreeAfganMukhtarli
FREE
FREE

კვლავ პასუხგაუცემელია. ამგვარმა პროტესტმა, საზოგადოებაში საკითხის გააქტიურებამ, მედიის გაშუქებამ საბოლოოდ მხოლოდ ის შედეგი გამოიღო, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების და სასაზღვრო პოლიციის უფროსები მოხსნეს.

საკანონმდებლო პროცესში ჩართულობა

ადვოკატირების პროცესის კიდევ ერთი გზა არის მედიასთან დაკავშირებით საკანონმდებლო პროცესებში ჩართვა, სხვადასხვა ინიციატივებზე მოსაზრებების დაფიქსირება როგორც წერილობით, ისე საჯარო გამოსვლებით, განხილვაში მონაწილეობით.

მაგალითად, ეხმიანებოდა საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე რეორგანიზაციის და რეფორმების პროცესს. ყველა წამყვან არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად კი გამოაქვეყნა შენიშვნები და განცხადებები „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში დაგეგმილ ცვლილებებზე. მოგვიანებით IDFI-ს და GARB-თან ერთად საკუთარი შენიშვნები კანონპროექტზე პარლამენტსაც გაუგზავნა. ქარტიის წარმომადგენელი ესწრებოდა პარლამენტში გამართულ სამუშაო შეხვედრებს და საკომიტეტო მოსმენებს. სამოქალაქო საზოგადოების პროტესტის შედეგად საჯარო ინფორმაციასთან და ბიუჯეტთან დაკავშირებული ორი მუხლი ამოიღეს პროექტიდან, ნაწილი კი მოდიფიცირებული ვარიანტით გავიდა პლენარულ სხდომაზე.

გარდა ამისა, ქარტია აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივი მაუწყებლის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებში, უწევდა მონიტორინგს ახალი მენეჯმენტის ხედვას და აფიქსირებდა ქარტიის პოზიციას როგორც მედიასაშუალებების მეშვეობით, ისე სხვადასხვა შეხვედრაში მონაწილეობით.

ასევე მოამზადა საკუთარი პოზიცია კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომლის თანახმადაც თვითრეგულირების სფეროდან რეგულირებაში გადადის რამდენიმე საკითხი, მათ შორის სიძულვილის ენის გამოყენება. ქარტიამ მიუთითა, რომ ევროპის დირექტივა ქვეყანას ავალდებულებს შექმნას ეფექტიანი მექანიზმი სიძულვილის ენის თუ არასრულწლოვანებზე მავნე ზეგავლენის წინააღმდეგ, თუმცა ეს მექანიზმი რა იქნება, თავად ქვეყანამ უნდა გადაწყვიტოს ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით. საქართველოს მსგავს ქვეყანაში, სადაც დემოკრატიული ინსტიტუტები არ არის მყარი, თვითრეგულირებიდან რეგულირებაში საკითხის გადატანა, ვერ ჩაითვლება პროგრესულ ნაბიჯად. ნაცვლად ამისა, უმჯობესია მარეგულირებელმა კომისიამ სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად არსებული თვითრეგულირიების მექანიზმების გააქტიურებაზე იმუშაოს.

რეაგირება გამოხატვის თავისუფლებისთვის სახიფათო ინიციატივებზე

2017 წელს მოსამართლეების და სასამართლო პროცესების გაშუქების შეზღუდვის ინიციტივით გამოვიდა იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომლის წევრებმაც წერილით მიმართეს ქარტიას, სადაც თვითრეგულირების არაეფექტურობაზე წუხდნენ. მათ ვრცლად უპასუხა ქარტიამ და ინიციატივა მედიისთვის ცენზურის დაწესების მცდელობად შეაფასა. იქვე აუხსნა იუსტიციის საბჭოს წევრებს, რომ ქარტია, ისევე როგორც მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებში არსებული თვითრეგულირების ორგანოები, შექმნილია პროფესიული სტანდარტების გაუმჯობესების მიზნით და არ ასრულებს სადამსჯელო ფუნქციებს. სწორედ ამიტომ ქარტია იღებს გადაწყვეტილებას დაირღვა თუ არა ქარტიის რომელიმე პრინციპი სადავო ჟურნალისტურ პროდუქტში და არ ასანქცირებს მის ავტორს.

- ინიციატივას გაგრძელება არ მოჰყოლია და ამ საკითხზე დისკუსია შეწყდა.

კიდევ ერთი ინიციატივა, რომელიც ქარტიამ გააკრიტიკა უკავშირდებოდა მედიაომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნას, რისი სურვილიც პრემიერ-მინისტრმა გამოთქვა. ქარტიის პოზიციით ხელისუფლებას დაქვემდებარებული ასეთი ინსტიტუტი ვერ გაუმჯობესებდა არსებულ მედიაგარემოს. მედიაომბუდსმენი რამდენიმე ქვეყანაში თვითრეგულირების ფუნქციას ასრულებს, რაც დღეს ქარტიის საქმიანობაა, ჟურნალისტების უფლებების დაცვისთვის კი არსებობს სახალხო დამცველის ინსტიტუტი.

ამ თემაზე სასაუბროდ ქარტია შეხვდა ეუთოს მედიის ოფისის წარმომადგენლებსაც, რომლებსაც პრემიერ მინისტრმა ამ საკითხზე

რეკომენდაციის შემუშავება სთხოვა. მათ მიერ გამოქვეყნებულ საბოლოო რეკომენდაციებში აღინიშნა, რომ საქართველოში მოქმედ ინსტიტუციებს (სახალხო დამცველი, ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და სხვა), რომლებიც უკვე მუშაობენ მედიის რეგულაციისა და თვითრეგულაციის ახალი გამოწვევები მედიამბუდსმენის გაჩენით არ უნდა შეუქმნას.

• მედიაომბუდსმენის ინსტიტუტზე საუბარი აღარ გაგრძელებულა.

სხვა საქმიანობა:

→ პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორისა და ევროპის საბჭოს მიერ ერთობლივად მომზადდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის შესახებ სახელმძღვანელო წესები ჟურნალისტებისთვის, რის შესახებაც ქარტიამ საკუთარი კომენტარები მოამზადა, რიგი საკითხები სარედაქციო დამოუკიდებლობას ზღუდავდა, აღმასრულებელმა დირექტორმა ამ თემაზე შეხვედრა გამართა სტრასბურგშიც, სადაც ევროპის საბჭოს წარმომადგენლებს, ვინც სახელმძღვანელოზე მუშაობდა და აუხსნა შეთავაზებულ დოკუმენტში არსებული ხარვეზები. ქარტიის რეკომენდაციები სრულად იყო გათვალისწინებული.

→ ქარტია ასევე მონაწილეობდა ტელეკომპანია რუსთავი 2-ის საქმეზე უზენაესი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაწყებულ დისკუსიებში. აღმასრულებელი დირექტორი ესწრებოდა ამავე თემაზე პრემიერ-მინისტრთან გამართულ შეხვედრასაც.

მედიის სტანდარტების განვითარება

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის სტრატეგიული განვითარების კიდევ ერთი მიმართულება არის მედიის პროფესიული განათლების ხელშეწყობა. მნიშვნელოვანია, რომ ქარტია არა მხოლოდ გაშუქების ხარვეზებზე საუბრობდეს, არამედ აწვდიდეს რეკომენდაციებსაც, რაც მათ სხვადასხვა თემაზე მუშაობისას დაეხმარებათ.

ტრენინგები

2017 წელს ქარტია ტრენინგებს ორი ფორმატით ატარებდა - IREX-ის დახმარებით 4 ტრენინგი ჩაატარა სხვადასხვა მედიასაშუალების ჟურნალისტებისთვის, სწავლების თემას თავად ქარტიის წევრები ირჩევდნენ. 5 ტრენინგი კი გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით უშუალოდ რედაქციებში ჩატარდა და ბავშვთა საკითხების გაშუქებას მიეძღვნა.

ქარტიის ტრენინგები გამორჩეულია იმით, რომ შერჩეულ თემაზე ჟურნალისტები იღებენ როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე მსჯელობენ იმაზე, თუ როგორ შეიძლება ამ თემასთან დაკავშირებული ეთიკური დილემების გადაჭრა.

ტრენინგები ეხებოდა შემდეგ საკითხებს:

→ **სასამართლო პროცესების გაშუქება** - ტრენინგს უძღვებოდნენ ნათია წკეპლაძე, უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ყოფილი მოსამართლე და გიორგი მგელაძე სტუდია „მონიტორის“ გამომძიებელი ჟურნალისტი, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც სასამართლო პროცესების გაშუქების დიდი გამოცდილება აქვს. შესაბამისად საკითხი განხილული იყო

როგორც მოსამართლის, ისე ჟურნალისტის პოზიციიდან. ტრენერებმა იმ ხარვეზზე ისაუბრეს რასაც ამ თემის გაშუქებისას უშვებს მედია.

- **რელიგიასთან დაკავშირებული თემების გაშუქება** - ტრენერებად მოწვეულნი იყვნენ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ თანასწორობის პოლიტიკის პროგრამის დირექტორი თამთა მიქელაძე, რომელსაც რელიგიურ საკითხებზე არაერთი კვლევა აქვს ჩატარებული და კარგად იცნობს არსებულ სიტუაციას და ლევან სუთიძე, ჟურნალისტი, რომელიც დიდი ხანია რელიგიურ საკითხებზე მუშაობს. პირველი დღე უფრო არსებული სიტუაციის მიმოხილვას დაეთმო, მეორე დღეს კი პრაქტიკული რჩევები მიიღეს ჟურნალისტებმა, მაგალითად როგორ ეურთიერთონ სასულიერო პირებს, როგორ მიმართონ მათ, ვინ შეიძლება გახდეს მედიისთვის წყარო რელიგიაზე მუშაობისას და აშ
- **ფსიქიკური ჯანმრთელობის გაშუქება** - ჟურნალისტებს ამ თემაზე ინფორმაცია მიაწოდეს ჯანა ჯავახიშვილმა, რომელიც არის საქართველოს ფსიქოტრავმის საზოგადოების პრეზიდენტი, ჟურნალისტიკისა და ტრავმის დარტ ცენტრის წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში და თიკო ცომაიამ, ჟურნალისტიკის და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლის (GIPA) პროფესორმა, რომელიც ჯანმრთელობის საკითხებს, ტრავმასა და მედიას იკვლევს.
- **ბუნებრივი კატასტროფების გაშუქება** - ტრენინგი გამართა სოფიკო მეგრელიძემ, Associated Press თბილისის ბიუროს პროდიუსერმა,, რომელსაც აქვს ცხელ წერტილებში მუშაობის ოც წლიანი გამოცდილება. საუბარი შეეხო როგორც ჟურნალისტისთვის აუცილებელ თავდაცვით უნარებს და წესებს, ასევე მასალის შინაარსობრივ მხარესაც.

ბავშვთა საკითხების გაშუქების შესახებ ტრენინგები კი უშუალოდ მედიასაშუალებებში ჩატარდა, რომლებიც კონკურსის საფუძველზე შეირჩნენ, ესენია რეგიონიდან პანკისის სათემო რადიო, ტელეკომპანია გურჯაანი, livepress.ge (ზუგდიდი), თბილისიდან კი - ტელეკომპანია პირველის საინფორმაციო სამსახური და რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია.

ამგვარი ფორმატით სწავლება UNICEF-ის დახმარებით 2016 წელს დაიწყო და წელსაც გაგრძელდა. ქარტიის ტრენერები ნინო ჯაფიაშვილი და ზვიად ქორიძე ნაცვლად 3 დღისა, უკვე 4 დღეს მუშაობდნენ ჟურნალისტებთან. ასეთი ფორმატი საშუალებას აძლევს რედაქციას დახმარება მიიღოს კონკრეტულად იმ მიმართულებით, რაც მის ჟურნალისტებს ყველაზე მეტად სჭირდებათ იმისათვის, რომ მაღალი ხარისხის მასალების მომზადება შეძლონ ბავშვებთან დაკავშირებით. ტრენერები აანალიზებდნენ მათ მიერ უკვე გამოქვეყნებულ მასალებში დაშვებულ ხარვეზებს და აწვდიდნენ საჭირო ცოდნას და ეხმარებოდნენ შემდგომ მოსამზადებელი თემების დაგეგმვაში.

სახელმძღვანელო წესები

ქარტიამ უკვე ტრადიციად აქცია სხვადასხვა თემაზე სახელმძღვანელო წესების მომზადება, რჩევები, რაც საერთაშორისო მედიის სარედაქციო კოდექსებს ეყრდნობოდა. გასულმა წელმა აჩვენა, რომ ჟურნალისტები აქტიურად იყენებდნენ ამ რეკომენდაციებს, ქარტიის რჩევებს. ამიტომაც ამ მიმართულებით მუშაობა კვლავაც გაგრძელდა. 2017 წელს შექმნილი სახელმძღვანელო წესების ნაწილი შეიქმნა ჩატარებული ტრენინგების შემდეგ, სადაც არსებული პრობლემების იდენტიფიცირება ხდებოდა. ეს კი კარგი საფუძველი იყო ქარტიისთვის რეკომენდაციები შეემუშავებინა გამოვლენილ ხარვეზებზე. ნაწილი კი მედიაში არსებული გამოწვევების საპასუხოდ შეიქმნა.

სასამართლო პროცესების გაშუქება - გაიწერა როგორც სამართლებრივი რეგულაციები, რაც ჟურნალისტს ეხება და უკავშირდება ფოტო-ვიდეო გადაღებას, ასევე გაშუქებასთან დაკავშირებული პროფესიული საკითხები, რაც მათ კონკრეტულ საქმეებზე მუშაობასა და

სასამართლო პროცესში მონაწილე მხარეებთან ურთიერთობაში დაეხმარებათ.

გენდერული საკითხების გაშუქება - გაიდლაინში თავმოყრილია რეკომენდაციები თუ როგორ აირიდონ გენდერული ნიშნით ადამიანის სტერეოტიპულად გაშუქება. ამისათვის რა საკითხებზე უნდა გაამახვილონ ყურადღება, რა ტერმინები გამოიყენონ და აშ.

ფსიქიკური საკითხების გაშუქება - მოიცავს რეკომენდაციებს თუ როგორ არ უნდა გაშუქდეს თემები, რომ არ შეუწყოს ჟურნალისტმა ხელი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანების სტიგმატიზებას და სტერეოტიპების გაძლიერება.

არჩევნების გაშუქება - დოკუმენტში ასახულია როგორც სამართლებრივი საკითხები, რომელიც განსაზღვრავს ჟურნალისტის საქმიანობას, ასევე კონკრეტული პრინციპები, რაც ეთიკურმა ჟურნალისტმა უნდა დაიცვას.

ბავშვთა საკითხების გაშუქება - გაშუქების სახელმძღვანელო, რომელიც პასუხობს არსებულ გამოწვევებს და კონკრეტულ რეკომენდაციებს აძლევს ჟურნალისტებს ეთიკური დილემების გადასაჭრელად.

დოკუმენტი მოიცავს რეკომენდაციებს შემდეგ თემაზე:

- მშობლისგან/მეურვისგან ნებართვა
- კომუნიკაცია ბავშვთან
- როდის დავფაროთ ბავშვი
- ძალადობა და ტრავმა
- ჯანმრთელობის პრობლემების მქონე და მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი ბავშვები
- არასრულწლოვანთა სუიციდი
- საჯარო პირთა შვილები

თითოეული სახელმძღვანელო ელექტრონული ფორმით ეგზავნებოდათ როგორც ქარტიის წევრებს, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებს. განსაკუთრებით აქცენტი კეთდება უმაღლეს სასწავლებლებზე, რომლებსაც ასევე გადაეცათ სახელმძღვანელო წესები და სულ უფრო ხშირად გამოიყენება ის სწავლების პროცესში.

სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია ქარტიის ვებსაიტზე.

პუბლიკაციები, მედიამონიტორინგები

მედიამონიტორინგი ქარტიის ერთერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაციამ ამ მიმართულებით დაიკავა მნიშვნელოვანი ნიშა. ცხადია, ეს მედიაზე დაკვრივება, ხარვეზების, პრობლემებისა და ტენდენციების გამოვლენა მედის მუშაობის გაუმჯობესებას ემსახურება.
ქარტიამ 2017 წელს მედიამონიტორინგის რამდენიმე პროექტი განახორციელა:

→ წინასაარჩევნო მედიამონიტორინგი

ქარტია უკვე მეორე წელია თანამშრომლობს გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) და ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის ფარგლებში აკვირდება წინასაარჩევნო პერიოდში ტელემედიის მუშაობას. 2017 წელსაც ადგილობრივი თვითმმმართველობის არჩევნებისას ქარტია 19 ივნისი - 19 ნოემბრის პერიოდში აკვირდებოდა 14 სამაუწყებლო მედიას, რომელთა შორის 9 რეგიონული ტელევიზია იყო. დაკვირვების ქვეშ მოექცა მათ მიერ მომზადებული მთავარი საინფორმაციო გამოშვება და პრაიმ ტაიმში გასული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოქშოუები. მომზადდა შუალედური და ფინალური ანგარიში. საზოგადოებას საშუალება ჰქონდა მიეღო ინფორმაცია თუ როგორ აშუქებდა მედია წინასაარჩევნო პროცესს. მონაცემების წარდგენას ესწრებოდნენ ევროკავშირის ელჩი საქართველოში, UNDP-ს ხელმძღვანელი საქართველოში, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენლები.

მნიშვნელოვანია, რომ ქარტიის მედიამონიტორინგის შედეგები ციტირებული იყო სხვა ორგანიზაციების მიერ მომზადებულ განცხადებებსა თუ ანგარიშებში.

შედეგების გამოქვეყნებას წინ უძღოდა რამდენიმე შეხვედრა სამონიტორინგო სუბიექტებთან, იმ მედიასაშუალებებთან, რომლებიც დაკვირვების ქვეშ მოექცნენ. ქარტიის წარმომადგენლები უხსნიდნენ მათ არსებულ პრობლემებს და მსჯელობდნენ მათი მოგვარების გზებზე.

→ ბავშვთა საკითხების გაშუქების მონიტორინგი

ჟურნალისტური ეთიკის ქარტია გაეროს ბავ-

შვთა ფონდის დახმარებით 1 აპრილიდან -1 დეკემბრამდე აკვირდებოდა ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებას. მონიტორებმა გააანალიზეს როგორც პრესაში, ისე ონლაინ და სამაუწყებლო მედიაში გამოქვეყნებული ყველა მასალა, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ეხებოდა ბავშვს. მონიტორები აკვირდებოდნენ ცალკეულ თემებთან დაკავშირებით ბავშვების გაშუქებას, ასევე მათ შესახებ მომზადებული მასალების ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისობას. ყურადღებას აქცევდნენ თუ რა ჭრილში, რა კონტექსტში შუქდებოდა ბავშვებთან დაკავშირებული საკითხები. როგორ ჩანდნენ ბავშვები ჟურნალისტურ მასალებში და რა თემების შესახებ საუბრობდნენ ისინი.

მონიტორინგის 2 ანგარიში გამოქვეყნდა მიმდინარე წელს. ბავშვთა საკითხების გაშუქების მიმართულებით სულ უფრო შეინიშნება გაუმჯობესება. აღარ ირღვევა უხეშად ეთიკური სტანდარტები, ახლა უკვე გვიწევს აქცენტის გაკეთება იმაზე, თუ როგორ მომზადდეს უფრო სიღრმისეული მასალები, როგორ უნდა შეირჩეს გაშუქების კუთხე ისე, რომ ბავშვების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ფრაგმენტულად არ მიეწოდოს საზოგადოებას.

მედიას შესაძლებლობა ენახა თუ რა პრობლემები არსებობს ამ მიმართულებით. ასევე, მონიტორინგის შედეგების შესახებ გაიმართა დისკუსია უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებთან და თავად მოსწავლეებთა. შეხვედრისას განხილული იყო თუ როგორ შეიძლება მონიტორინგისას გამოვლენილი ტენდენციები, მაგალითები გამოიყენონ სწავლების დროს იმ უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც ბავშვთა საკითხების გაშუქება ცალკე საგანია, ან სხვა კურსთან არის ინტეგრირებული. პროექტში ჩართულმა პირებმა თავად მოსწავლეებისგან მიიღეს ინფორმაცია თუ რა ხარვეზებს ხედავენ ისინი მედიის მიერ მათი გაშუქებისას, რა პრობლემები ექმნებათ და როგორ აისახება მათ ცხოვრებაზე ბავშვების შესახებ სტიგმების გაძლიერება.

ამავე პროექტის ფარგლებში კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართა საბავშვო არხებისა და გადაცემების წარმომადგენლებთან, რომლებსაც ბავშვებიც ესწრებოდნენ და უშუალოდ მათგან შეეძლოთ მოესმინათ თუ რა არ მოსწონთ მათთვის მომზადებულ გადაცემებში. ამავე შეხვედრისას შედგა შეთანხმება არხ "ბასტი ბუბუსა" და ბავშვებს შორის, რომლებიც მიიწვიეს გადაცემის მოსამზადებლად.

→ მონიტორინგი რუსული პროპაგანდის გავრცელების შესახებ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში

2017 წელს გამოქვეყნდა მედიამონიტორინგის ანგარიში თუ როგორ ვრცელდება რუსული პროპაგანდისტული მესიჯები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში - საქართველოში, მოლდოვაში, უკრაინაში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და ბელარუსიაში. ამ ქვეყნებში არსებულ მედიაორგანიზაციებთან ერთად ქარტია აკვირდებოდა რუსული არხების მიერ გავრცელებული 44 პროპაგანდისტული მესიჯიდან რომელი გამოიყენებოდა ყველაზე ხშირად თითოეულ ზემოთ აღნიშნულ ქვეყანაში. ამგვარმა დაკვირვებამ შესაძლებლობა მოგვცა გვენახა, თუ რაზე აკეთებს ფოკუსს პროპაგანდა და რა ნარატივს ამკვიდრებს ქვეყანაში.

→ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს და სხვა გადაწყვეტილებები გამოხატვის თავისუფლების საკითხებზე

ევროპის საბჭოს დახმარებით ქარტიამ ქართულ ენაზე თარგმნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც მედიასაშუალებებს და გამოხატვის თავისუფლებას ეხება. ასევე ითარგმნა ბრიტანული პრესის საბჭოს გადაწყვეტილებებიც და გამოქვეყნდა ქარტიის მედიაკრიტიკის პლატფორმაზე mediachecker.ge

მედიაკრიტიკა

მედიასტანდარტების გაუმჯობესებას ითვალისწინებს ქარტიის კიდევ ერთი პროექტი mediachecker.ge, რომლის მიზანია ჯანსაღი მედიაკრიტიკის განვითარებით ხელი შეუწყოს მედიის თვითრეგულირების გაძლიერებას, შეცდომების გამოსწორებას, მედია პროდუქტის გაუმჯობესებას, რაც შესაბამისად, მედიის ნაკლებ რეგულირებას და დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდას იწვევს.

ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს" დახმარებით მედიაჩეკერის გუნდის წევრები ყოველდღიურ რეჟიმში აკვირდებოდნენ მედიასაშუალებებს თუ რამდენად შესაბამება გაშუქება ეთიკურ პრინციპებს, რა ტენდენცია და სარედაქციო პოლიტიკა აქვთ ამ არხებს და მყისიერად წერენ მის შესახებ. დაკვირვების შედეგები ხდება ინსპირაცია ანალიტიკური მასალების მომზადების. მედიაჩეკერი ცდილობს, საზოგადოების ფოკუსირება მოახერხოს სხვადასხვა თემაზე, წამოწიოს პრობლემატური საკითხები და ამასთან საერთაშორისო თუ ადგილობრივი სახელმძღვანელო დოკუმენტებიდან შესთავაზოს რეკომენდაციები უკეთესად გასაშუქებლად.

კონსულტაცია ჟურნალისტებისთვის

ქარტიის როგორც აღმასრულებელი რგოლი, ისე საბჭო საჭიროების შემთხვევაში უწევს ჟურნალისტებს კონსულტაციას თუ როგორ გააშუქონ ესა თუ ის საკითხები, როგორ გადაჭრან წარმოშობილი ეთიკური დილემები. ქარტიას რჩევებისთვის უკავშირდებიან როგორც დედაქალაქის, ასევე რეგიონში ბაზირებული მედიასაშუალებებიდან. წლის განმავლობაში ქარტიამ 63-ჟურნალისტს გაუწია კონსულტაცია. მათ სჭირდებოდა დახმარება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სუიციდი, ბავშვთა საკითხები, ხანძრების გაშუქება, წყაროს კონფიდენციალურობა, პირთა იდენტიფიკაცია, ტერორიზმის გაშუქება და ა.შ.

ორგანიზაციული განვითარება

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის, როგორც ინსტიტუტის განვითარებისთვის არაერთი დოკუმენტი შეიქმნა. მათ შორისაა:

- **აღმსრულებელი დირექტორის დებულება** - გაიწერა დირექტორის უფლებამოსილების ფარგლები. მიუხედავად იმისა, რომ წესდებაში აღნიშნულია, რომ დირექტორი სწორედ ამ დოკუმენტით უნდა სარგებლობდეს, ამ დრომდე დებულება არ არსებობდა.
- **ქარტიის წესები** - განისაზღვრა სახელმძღვანელო პრინციპები ისეთი საკითხებისა, როგორიცაა - ქარტიის სახელით სხვადასხვა ღონისძიებების გამართვისასა, მედიასთან და სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობა, ტრენინგების ჩატარება, სხდომების ორგანიზება და გადაწყვეტილებების გამოქვეყნება, საერთო კრების ორგანიზება და აშ
- **შესყიდვების სახელმძღვანელო** - დარეგულირდა და გაიწერა თუ როგორ უნდა განხორციელდეს ორგანიზაციაში შესყიდვები, როდის უნდა ჩატარდეს ბიდინგი, ტენდერი, რა პროცედურებით უნდა გადაირიცხოს თანხები და აშ
- **შეიქმნა საშვებულებო ფორმები,** რომელიც გამოყენებულია თანამშრომლების მიერ შვებულების მოთხოვნისას.
- **სარევიზიო კომისიის რეგლამენტი** - მიუხედავად იმისა, რომ წესდების თანახმად უნდა არსებული რეგლამენტი, რომელიც განსაზღვრავდა კომისიის მუშაობას, ამგვარი დოკუმენტი აქამდე არ არსებობდა. საანგარიშო პერიოდში რეგლამენტი შეიქმნა და გადაგზავნილია კომისიაში განსახილველად და დასამტკიცებლად.

2017 წელს ქარტიამ განაახლა ვებსაიტი (www.qartia.ge), რომელიც გახდა უფრო მეტად მომხმარებელზე ორიენტირებული. საიტის მეშვეობით ონლაინ არის შესაძლებელი როგორც განცხადების გაგზავნა, ასევე ქარტიაში გაწევრიანება. გაადვილდა გადაწყვეტილების ძებნაც, საქმეების პოვნა შესაძლებელია როგორც წლის, ისე დარღვეული პრინციპის, მოპასუხე ჟურნალისტისა და განმცხადებლის მიხედვით. გაუმჯობესდა ვიზუალური მხარეც. ვებსაიტზე ქვეყნდება ქარტიის მიერ განხორციელებული ყველა აქტივობის შესახებ.

საიტზე გამოქვეყნებულია ასევე ქარტიის დოკუმენტები - წესდება, საქმის წარმოების წესი, სტრატეგიული განვითარების გეგმა, ორგანიზაციული სტრუქტურა. დაინტერესებულ პირს ასევე შესაძლებლობა აქვს მიიღოს ქარტიის დაფინანსების შესახებ ინფორმაცია.

უფრო მეტად დეტალური ინფორმაციის მიღება პარტნიორებს და პირველ რიგში ქარტიის წევრებს, შეეძლოთ ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენის მეშვეობით, რომელიც ეგზავნებოდათ ელექტრონულად და ქვეყნდებოდა ვებსაიტზე.

ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

ქარტია აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ქარტიის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს არაერთ კონფერენციასა და შეხვედრაში, რომელიც ორგანიზებული იყო ისეთი ორგანიზაციების მიერ, როგორიცაა ევროპის საბჭო, ეუთო, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს, ბიოლის ფონდი, კოალიცია მედია ადვოკატირებისთვის, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, კოალიცია ბავშვისა და ახალგაზრდობისთვის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, მედიის განვითარების ფონდი, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი და აშ.

ცალკე შეხვედრა გაიმართა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებთან, სადაც განიხილეს მედიაჩეკერის მიერ მომზადებული მასალები, ისაუბრეს თვითრეგულირების მნიშვნელობაზე ესაუბრნენ. ბავშვთა საკითხების გაშუქების შესახებ ქარტიის წარმომადგენლები მოსწავლე ახალგაზრდობის მოსწავლეებსაც შეხვდნენ.
ქარტიის აღმასრულებელი დირექტორი ევროპის საბჭოს მიწვევით იმყოფებოდა სტრასბურგში,

სადაც სამუშაო შეხვედრაზე ისაუბრა იმ თანამშრომლობის შედეგებზე, რაც ქარტიას და ევროპის საბჭოს აქვთ. ბრიუსელში კი მონაწილეობდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში, რომლის წევრიც არის ქარტია. ასევე დაესწრო ეუთოს მიერ ორგანიზებულ კონფერენციას ვენაში, სადაც პროპაგანდის საკითხებზე იმსჯელეს. მონაწილეობდა კიევში გამართულ მედიაკონფერენციასა და OSECE-ს ორგანიზებით ვენაში გამართულ ვორქშოფში.

ქარტიამ მონაწილეობა მიიღო მედიის თვითრეგულირების ორგანოების ქსელის შეხვედრაში კიშინიოვში, კიევსა და თბილისში. უახლესი ეთიკური გამოწვევების შესახებ კიშინიოვში მოხსენება გააკეთა საბჭოს მდივანმა, დავით კლდიაშვილმა და საბჭოს წევრმა მაია მეცხვარიშვილმა. მაია საქართველოს წარმომადგენელია ამ ქსელის საჩივრების განმხილველ კომისიაში, ამიტომ ის მონაწილეობდა კიევში გამართული საქმის განხილვებში. ამ დღეს კომისიამ სხვა საჩივრებთან ერთად განიხილა ქარტიის საჩივარი რუსული და აზერბაიჯანული მედიასაშუალებების მიერ მომზადებული პროპაგანდისტული მასალების წინააღმდეგ.

პირველი საჩივარი ეხებოდა mir24.tv-ს მიერ გამოქვეყნებულ მასალას, სადაც საუბარია იმაზე, რომ თითქოს საქართველოში უწყლობისა და უშუქობის გამო მამაკაცმა პროტესტის ფორმას მიმართა და ქალაქში აბაზანა დადგა. სინამდვილეში ეს იყო პერფომანსი, რომელიც „ლიბერალმა“ გააშუქა.

მეორე საჩივარი კი haqqin.az-ს წინააღმდეგ იყო. მასალაში „ანტიაზერბაიჯანული მიწისქვეშა თბილისში: გამოჩენა, ფული, ინსტრუქციები“. ე.წ „ფერადი რევოლუციები“ საქართველოში და უკრაინაში, რომელთა ძირითადი საფუძვლები იყო ეკონომიკური პრობლემები ქვეყანაში და ცხოვრების დაბალი სტანდარტი, შეფასებულია, როგორც „დასავლური ჰეგემონიის“ ნაყოფი, თავის მხრივ დასავლური ჰეგემონია წარმოჩენილია როგორც საფრთხე, რომელიც იწვევს დესტაბილიზაციას.

საჩივრების განმხილველმა კომისიამ ორივე შემთხვევაში პროპაგანდა დაადგინა.

AIPCE 2019 წელს საქართველოში გაიმართება

ევროპის დამოუკიდებელი პრესის საბჭოების ალიანსის (AIPCE) წლიურ კონფერენცია 2019 წელს საქართველოში გაიმართება. ეს გადაწყვეტილება ცნობილი გახდა 13 ოქტომბერს ბუდაპეშტში გამართულ კრებაზე.

AIPCE 1999 წელს შეიქმნა და აერთიანებს 34 ქვეყნის თვითრეგულირების ორგანოებს. საქართველოდან ალიანსის წევრია ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, როგორც ერთადერთი დამოუკიდებელი თვითრეგულირების ორგანო ქვეყანაში. წელს AIPCE-ს წევრთა რიცხვს მიემატა თურქეთიც.

ალიანსის წვერები ყოველ წელს იკრიბებიან და ეთიკური ჟურნალისტიკის გამოწვევებს განიხილავენ. 2018 წელს წლიური კონფერენცია ჰელსინკიში გაიმართება, 2019 წელს კი ამ ღონისძებას თბილისი უმასპინძლებს. ბორდის შემადგენლობაში იმ 3 ქვეყანის წარმომადგენელი შედის, სადაც წლიური კრება მიმდინარე წელს გაიმართა და მომდევნო ორ წელში ჩატარდება. წელს შესაბამისად ბორდის წევრები არიან უნგრეთის, ფინეთის და საქართველოს თვითრეგულირების ორგანოების წარმომადგენლები.

დანართი
საბჭოს რამდენიმე გადაწყვეტილება

ელისო ჯანაშია დავით კაკულიას და ნოდარ მელაძის წინააღმდეგ

საბჭოს თავმჯდომარე: გიორგი მგელაძე
საბჭოს წევრები: ჯაბა ანანიძე, ნინო ჯაფიაშვილი, გერონტი ყალიჩავა, თაზო კუპრეიშვილი, მაია მეცხვარიშვილი, თეა ზიბზიბაძე, მაია მამულაშვილი, თამარ უჩიძე.
განმცხადებელი: ელისო ჯანაშია
მოპასუხე: დავით კაკულია და ნოდარ მელაძე

აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს განცხადებით მომართა ელისო ჯანაშიამ, რომელიც მიიჩნევდა, რომ ტელეკომპანია "რუსთავი 2-ის" ეთერში, 06 ოქტომბერს, გადაცემა კურიერში გასულ სიუჟეტში დაარღვია ქარტიის მე-11 პრინციპი [პლაგიატი]. განმცხადებელის აზრით დარღვევა გამოიწვია აღნიშნული მედიასაშუალების მიერ წყაროს მითითების გარეშე იმ ვიდეო კადრების გამოყენებამ, რომელიც გადაღებული იყო ინტერნეტ გამოცემა TSpress-ის მიერ. მოპასუხე პირებად განისაზღვრნენ სიუჟეტის ავტორი დავით კაკულია, ასევე ტელეკომპანია "რუსთავი 2-ის" საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი - ნოდარ მელაძე.

საქმის გამოკვლევის შედეგად დადგინდა, შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:
1. "რუსთავი 2-ის" ეთერში, 06 ოქტომბერს, გადაცემა „კურიერში" გასულ სიუჟეტში, რომელიც ეხებოდა ფოთის მერობის კანდიდატ გოჩა კურდღელიას შეხვედრებს ამომრჩევლებთან, გამოყენებული იყო ინტერნეტგამოცემა TSpress-ის მიერ 19 სექტემბერს და 02 ოქტომბერს გამოქვეყნებული ვიდეო კადრები ისე, რომ პირველწყარო მითითებული არ იყო.

საქმის განხილვის თავისებურება: გადაწყვეტილება მიღებული იქნა საბჭოს წევრების მიერ პოზიციათა დისტანციურად გამოვლენის შედეგად, თანახმად ქარტიის წესდებისა: „საბჭოს წევრებს საკუთარი პოზიცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით შეუძლიათ გამოხატონ/საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ დისტანციური ელექტრონული საკომუნიკაციო საშულების გამოყენების საშუალებით (სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტა, online ვიდეო და აუდიო ზარები".

სამოტივაციო ნაწილი

ქარტიის მე-11 პრინციპის თანახმად: „ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: პლაგიატი". დადგენილია ფაქტობრივი გარემოებაა, რომ სადავო სიუჟეტში არ იყო მითითებული ვიდეო კადრების პირველწყარო. მოპასუხე ჟურნალისტმა ნოდარ მელაძემ ეს ფაქტი ტექნიკური საკითხით ახსნა, კერძოდ სოციალურ ქსელ FACEBOO-ში კომენტარის სახით აღნიშნა - „თქვენ ვებ გვერდზე [იგულისხმება ინტერნეტგამოცემა TSpress] ვიდეომასლის განთავსება ხდება ფორმატით 16/9 ჩვენი სამაუწყებლო ფორმატია 4/3 და შესაბამისად კონვერტაციის დროს მოიჭრა როგორც მარჯვენა ველი, იქ სადაც ლოგო იყო განთავსებული, ასევე მარცხენა მხარეც".

საბჭო მიიჩნევს, რომ მსგავსი სახით ტექნიკური შეუთავსებლობა არ შეიძლება ჩაითვალოს საპატიო მიზეზად, რის საფუძველზეც მედია საშუალებამ შესაძლოა არ მიუთითოს გამოყენებული მასალის პირველწყარო. თუ ვერ ხერხდებოდა ვიდეოს განთავსება Tspress-ის ლოგოს გამოსახულებით, სიუჟეტის მიმდინარეობისას შესაძლებელი იყო ჟურნალისტს საკუთარ ტექსტში აღენიშნა, რომ მათ მიერ გამოყენებული და გავრცელებული ვიდეო კადრები ეკუთვნოდა ინტერნეტგამოცემა Tspress-ს ან ტიტრის სახით მითითებულიყო ინფორმაცია პირველწყაროს შესახებ. პლაგიატი აქტუალური პრობლემაა მედიაში, ვინაიდან თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევიან ვიდეო, აუდიო თუ ტექსტური მასალის მარტივად კოპირების ან/და ჩამოტვირთვის და გამოყენების საშუალებას, შესაბამისად

ეთიკური ჟურნალისტიკის მიზნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პლაგიატის თავიდან აცილებას.

სარეზოლუციო ნაწილი

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე:
1. დავით კაკულიამ და ნოდარ მელაძემ დაარღვიეს ქარტიის მე-11 პრინციპი პლაგიატის ნაწილში.

გიორგი მგალობლიშვილი გიორგი ჩომახაშვილის წინააღმდეგ

საბჭოს თავმჯდომარე: გიორგი მგელაძე **საბჭოს წევრები:** ჯაბა ანანიძე, ნინო ჯაფიაშვილი, გერონტი ყალიჩავა, თაზო კუპრეიშვილი, მაია მეცხვარიშვილი.
განმცხადებელი: გიორგი მგალობლიშვილი
მოპასუხე: გიორგი ჩომახაშვილი

აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს განცხადებით მომართა გიორგი მგალობლიშვილმა, რომელიც მიიჩნევდა, რომ რუსთავის საინფორმაციო პორტალმა - INFORUSTAVI, დაარღვია ქარტიის მე-4 და მე-11 პრინციპი [პლაგიატი]. განმცხადებელის აზრით დარღვევა გამოიწვია აღნიშნული მედია საშუალების მიერ წყაროს მითითების გარეშე იმ ვიდეო კადრების გამოყენებამ, რომელიც გადაღებული იყო ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანიის შენობაზე განთავსებული, გარე ჩართვებისათვის განკუთვნილი ვიდეო კამერით. მოპასუხე პირად განისაზღვრა გიორგი ჩომახაშვილი. საქმის განხილვას დაესწრო განმცხადებელი, ხოლო მოპასუხე სხდომას არ დასწრებია და შეპასუხება წერილობითი სახით წარმოადგინა.

საქმის გამოკვლევის შედეგად დადგინდა, შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:
1. ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანიის მფლობელობაში არსებულმა ვიდეო კამერამ დააფიქსირა ავტოავარია, რომელიც მოხდა ქალაქ რუსთავში. ავარიის ამსახველი კადრები მაუწყებელმა განათავსა საკუთარ ფეისბუქ გვერდზე.
2. ავარიის ამსახველი კადრები გამოიყენა რუსთავის საინფორმაციო პორტალმა - INFORUSTAVMა, კერძოდ:
1. საკუთარ youtube არხზე განათავსა სიუჟეტი, რომელიც ეხებოდა ავარიას და სადაც გამოყენებული იყო ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანიის მიერ მოპოვებული და გავრცელებული კადრები, ამასთან, არ იყო მითითებული რომ ეს კადრები ეკუთვნოდა ტელე-რადიო კომპანიას.
2. მოამზადა სტატია, რომელშიც მიუთითა ვიდეო კადრების პირველწყარო მედიასაშუალება.
3. განმცხადებელი სადავოდ ხდიდა youtube ზე განთავსებულ სიუჟეტს.

სამოტივაციო ნაწილი

ქარტიის მეოთხე პრინციპის მიხედვით "ინფორმაციის, ფოტოების ან დოკუმენტების მოპოვებისას ჟურნალისტმა მხოლოდ კეთილსინდისიერი და სამართლიანი მეთოდები უნდა გამოიყენოს" ქარტიის საბჭო მიიჩნევს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში არ დარღვეულა ქარტიის მე-4 პრინციპი. განმცხადებელმა მიუთითა, რომ მან ვიდეო კადრები თავად გახადა საჯარო, შესაბამისად, სამართლებრივად, ნებისმიერ პირს შეეძლო გამოეყენებინა ისინი.

გამოყენების წესთან დაკავშირებით საბჭო ეთიკური ჟურნალისტიკის მიზნებისათვის რეკომენდაციის სახით მიუთითებს, რომ სხვა პირის მიერ მოპოვებული ვიდეოს საკუთარ ვებსაიტზე გამოყენებისას სასურველია სტატიაში განთავსდეს ჩანართის სახით [ე.წ. embed codeით]. სხვისი ვიდეოს ჩამოტვირთვა, სოციალურ ქსელში საკუთარ არხზე ან საკუთარ საიტზე ატვირთვა მიჩნეული უნდა იყოს მედიის მხრიდან არაკეთილსინდისიერ ქმედებად. ამგვარი ქმედებით ერთი მედიასაშუალება მეორეს არ-თმევს ვიდეოს ნახვების რაოდენობას, რაც პოტენციურად აისახება აღნიშნული მედიასაშუალების რეიტინგსა და შემოსავლებზე. თუ პირველწყაროს ვებპლატფორმაზე ატვირთულ ვიდეოს არ გააჩნია სხვა საიტზე კოდით ჩასმის ფუნქცია, ამ შემთხვევაში ეთიკურმა მედიამ უნდა უნდა გამოიყენოს იმ გვერდის ბმული, სადაც ვიდეო არის განთავსებული. საკუთარ პლატფორმაზე ვიდეო მხოლოდ ავტორისგან ნებართვის მიღების შემდეგ უნდა ატვირთოს და მას ცხადად უნდა მიუთითოს ავტორი და პირველადი წყარო.

ქარტიის მე-11 პრინციპის თანახმად: „ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: პლაგიატი“. მეოთხე პრინციპის მიმართ მსჯელობისას საბჭომ მიუთითა, რომ მოპასუხეს ჰქონდა უფლება გამოეყენებინა სხვა მედიასაშუალების მიერ მოპოვებული ვიდეო კადრები, მაგრამ მას ეკისრებოდა ეთიკური ვალდებულება, რომ მიეთითებინა მასალის პირველწყარო. როგორც აღწერილობით ნაწილში აღინიშნა, მოპასუხის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში ვიდეო კადრების წყარო მითითებული იყო, შესაბამისად პლაგიატი არ დგინდება. რაც შეეხება youtube-ზე განთავსებულ ვიდეო სიუჟეტს, დადგენილი ფაქტია, რომ სადავო ვიდეო სიუჟეტში არ იყო მითითებული ვიდეო კადრების პირველწყარო და მაყურებელს რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ კადრები თავად INFORUSTAVI-ს მიერ იყო მოპოვებული.

საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია ემსჯელა იმაზეც, რომ სადავო სიუჟეტის ქვემოთ მითითებული იყო შემდეგი ტექსტი „მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ–გვერდს: http://inforustavi.ge/“, იმის გათვალისწინებით, რომ თავად inforustavi.ge-ზე იყო სტატია ვიდეო კადრების პირველწყაროს მითითებით, ამით ხომ არ იყო უზრუნველყოფილი ჟურნალისტის ეთიკური ვალდებულება, რომ თავიდან აეცილებინა პლაგიატი. ამასთან დაკავშირებით საბჭო აღნიშნავს, რომ ბმულ http://inforustavi.ge ზე მითითება არ იყო საკმარისი, ვინაიდან თუ INFORUSTAVI -ს youtube არხის გამომწერი [სულ 1900 ზე გამომწერი] ან სხვა ნებისმიერი პირი ძებნის შედეგად ნახავდა სადავო სიუჟეტს და შემდეგ გადავიდოდა მითითებულ ბმულზე, მას წვდომა ექნებოდა ზოგადად INFORUSTAVI -ს ვებსაიტზე და არა კონკრეტულ იმ სტატიაზე, რომელშიც მითითებულ იყო კადრების წყარო. ვებსაიტზე გადასულ მომხმარებელს კი არ შეიძლებოდა ლოგიკურად გასჩენოდა ვარაუდი, რომ ვიდეოს ავტორი სხვა პირი შეიძლება ყოფილიყო და საიტზე მოეძებნა დამატებითი სტატია, რომელშიც მითითებული იყო პირველწყარო. მხოლოდ სიუჟეტის ნახვის შემდეგ, თუნდაც მითითებული საიტის ბმულის გამოყენებით, ლოგიკურად არ იყო მოსალოდნელი, რომ მომხმარებელს დაედგინა ვიდეო კადრების პირველწყარო. აღნიშნულიდან გამომდინარე საბჭო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის მიერ დაირღვა ქარტიის მე-11 პრინციპი და დადგინდა პლაგიატი.

შენიშვნა: განცხადების განხილვის შემდეგ მოპასუხის მიერ დარედაქტირდა სადავო სიუჟეტი და ის აღარ შეიცავს სადავო ვიდეო კადრებს. ქარტიის საბჭო მიესალმება მოპასუხის ამგვარ ქმედებას, როგორც ეთიკური ჟურნალისტიკის თანმდევი პასუხისმგებლობის გათვიცნობიერებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე: 1. გიორგი ჩომახაშვილმა დაარღვია ქარტიის მე-11 პრინციპი პლაგიატის ნაწილში. 2. გიორგი ჩომახაშვილს არ დაურღვევია ქარტიის მე-4 პრინციპი.

სსიპ ქალაქ ხობის №2 საჯარო სკოლა დიტო ჩუბინიძის წინააღმდეგ

საბჭოს თავმჯდომარე: გიორგი მგელაძე
საბჭოს წევრები: თაზო კუპრეიშვილი, თამარ უჩიძე, ჯაბა ანანიძე, გერონტი ყალიჩავა, მაია მამულაშვილი.
განმცხადებელი: სსიპ ქალაქ ხობის №2 საჯარო სკოლა
მოპასუხე: დიტო ჩუბინიძე

აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს განცხადებით მომართა სსიპ ქალაქ ხობის №2 საჯარო სკოლამ, რომელიც მიიჩნევდა, რომ გაზეთ „ასავალ-დასავალის“ 2017 წლის №32-ში გამოქვეყნებულ სტატიაში “ეს მოხდა ხობის №2 ე.წ. მომავლის სკოლაში, რომელიც თავის დროზე სააკაშვილმა გახსნა“ და ამავე გაზეთის №33-ში გამოქვეყნებულ სტატიაში „ხობის #2 სკოლაში ლგბტ კლიპთან დაკავშირებული სკანდალი გრძელდება“ დაირღვა ქარტიის 1-ლი, მე-3, მე-4, მე-7 და მე-8 პრინციპი. სტატიის ავტორია ჟურნალისტი დიტო ჩუბინიძე.
მასალა ეხებოდა სსიპ ქალაქ ხობის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ გადაღებულ ვიდეოს, სადაც ისინი მხარს უჭერდნენ ადამიანებს

შორის თანასწორობას მიუხედავად სქესისა, რასისა, რელიგიური აღმსარებლობისა თუ სექსუალური ორიენტიაციისა. მოსწავლეების მიერ გადაღებულ ვიდეოსთან დაკავშირებით სადავო სტატიებში ძირითადად საუბრობს რესპონდენტი გურამ ფალავანდიშვილი.

სხდომა გაიმართა ქალაქ ხობში, რომელსაც ესწრებოდა განმცხადებლის წარმომადგენელი, ხოლო მოპასუხე ჟურნალისტი სხდომას არ დასწრებია და არც შეპასუხება არ წარმოუდგენია. სხდომას ესწრებოდნენ და საბჭოს ფაქტობრივ გარემოებებზე ინფორმაცია მიაწოდეს ვიდეოს შემქმნელმა არასრულწლოვნებმა, სსიპ ქალაქ ხობის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. სხდომის მიმდინარეობისას განმცხადებელმა მოხსნა საკუთარი მოთხოვნა მე-3 და მე-4 პრინციპებთან დაკავშირებით.

სამოტივაციო ნაწილი

ქარტიის პირველი პრინციპის თანახმად "ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია". ქარტიის საბჭოს მიერ ფაქტების გამოკვლევის შედეგად დადასტურებულად დადგინდა, რომ სსიპ ქალაქ ხობის №2 საჯარო სკოლის უფროსკლასელებმა საკუთარი ინიციატივით შეადგინეს ტექსტი და ჩაწერეს ვიდეო, რომელშიც ისინი მხარს უჭერდნენ ადამიანებს შორის თანასწორობის იდეას. ვიდეოს ჩაწერის ინიციატორი არ იყო და პროცესს არ ხელმძღვანელობდა რომელიმე მასწავლებელი ან/და სხვა პირი. ვიდეოში გაჟღერებული ტექსტის შექმნაში მონაწილეობა არ მიუღიათ გარეშე პირებს, გარდა თავად ვიდეოში მონაწილე მოსწავლეებისა. ვიდეოში მონაწილე მოსწავლეებმა, რომლებიც საქმის განხილვას ესწრებოდნენ, საბჭოს დაუდასტურეს, რომ ისინი გააზრებულად უჭერდნენ მხარს ვიდეოში გაჟღერებულ თანასწორობის იდეას, ასევე მშობლებმა იცოდნენ ვიდეოს მომზადების და შემდგომ მისი გამოქვეყნების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სიმართლეს არ შეესაბამება სადავო საგაზეთო სტატიებში რესპონდენტის მიერ მითითებული გარემოებები, მაგალითად: „ლგბტ პედაგოგები ხობში ჩავიდნენ, გამოიყვანეს ბავშვები და დაამზადეს კლიპი", თავად ჟურნალისტი თანასწორობის შესახებ ვიდეო რგოლს მოიხსენიებს „ლგბტ კლიპად", რაც ასევე არ შეესაბამება სიმართლეს. ჟურნალისტს არც დირექტორთან ან მასწავლებლებთან უცდია ფაქტების გადამოწმება. მოცემულ შემთხვევაში პირველი პრინციპის დარღვევა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან არასწორი ფაქტების გაშუქებით ჟურნალისტი ხელს უწყობს სექსუალური უმცირესობის მიმართ სიძულვილის გავრცლეებას, შთაბეჭდილებას ქმნის, რომ არასრულწოვნები არიან კონკრეტული პირებისაგან „მავნე ზეგავლენის" მსხვერპლი, რაც არ შეესაბამება სიმართლეს.

ქარტიის მეშვიდე პრინციპის თანახმად: „ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით". სადავო სტატია სრულად დისკრიმინაციულია. კერძოდ როგორც ჟურნალისტი, ისე რესპონდენტი იყენებენ ისეთ ტერმინებს, რომლებიც ჰომოფობიურია, სექსუალური უმცირესობა მოხსენიებულია როგორც „ლგბტ ჯოგი", „მამათმავალი", „პედერასტი", ჟურნალისტი არა თუ ცდილობდა, რომ თავიდან აეცილებინა რესპონდენტის ჰომოფობიური გამონათქვამები, არამედ იყო დისკრიმინაციის წყარო. ორივე სტატიას ფონად გასდევს მკვეთრად გამოხატული ზიზღი სექსუალური უმცირესობის მიმართ. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე საბჭო მიიჩნევს, რომ სადავო სტატიებში დაირღვა ქარტიის მე-7 პრინციპი.

ქარტიის მე-8 პრინციპი: **„ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. ჟურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდს მშობლის ან მეურ-**

ვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება“. საბჭო მიიჩნევს, რომ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ბავშვთა უფლებების უხეში დარღვევა სადავო სტატიაში და ჟურნალისტის დამოკიდებულება ამ ფაქტის მიმართ. კერძოდ, ორივე სტატია შეიცავს არასრულწლოვანთა ფოტოებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ვიდეოში და ზოგიერთი მათგანის სახელს და გვარს, ანუ ჟურნალისტი სრულად ახდენს ბავშვების იდენტიფიცირებას, ამასთან მათ მიერ კლიპის გადაღებას უწოდებს „ამაზრზენ ფაქტს“ და მოსწავლეები გამოჰყავს „მორალურ“ სამსჯავროზე.

როგორც მეშვიდე პრინციპთან დაკავშირებისას მსჯელობისას აღინიშნა, თავად სტატიების ძირითადი ხაზი სექსუალური უმცირესობების და მათი მხარდამჭერების მიმართ სიძულვილის გაღვივებაა. შესაბამისად, მასალა მიზნად ისახავდა ფოტოებზე გამოსახული არასრულწლოვნების, როგორც თანასწორობის იდეის მქონე პირთა მიმართაც აგრესიის გაღვივებას. ჟურნალისტმა პირველ სტატიაში გამოაქვეყნა მხოლოდ 4 არასრუწლოვნის ფოტო, ხოლო მომდევნო ნომერში არა თუ გააცნობიერა არასრუწლოვანთა უფლებების დარღვევა, არამედ განზრახულად გამოაქვეყნა ყველა მოსწავლის ფოტო. სხდომის მიმდინარეობისას დამსწრე მოსწავლეებმა დაუდასტურეს საბჭოს, რომ მათმა იდენტიფიცირებამ ნეგატიური შედეგი მოიტანა, სოციუმში [მეზობლებისგან, ნათესავებისაგან] იქცნენ კრიტიკის ობიექტად და მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ამ ფაქტმა უარყოფითად იმოქმედა. საბჭო ცალსახად და უხეშად დარღვეულად მიიჩნევს ქარტიის მე-8 პრინციპს. ჟურნალისტმა არა თუ დაიცვა არასრუწლოვანთა ინტერესები, არამედ ყველა პირობა შექმნა [არასწორი ინფორმაციის შემცველ, დისკრიმინაციულ სტატიაში ბავშვთა ფოტოების გამოქვეყნება და მათი იდენტიფიცირება], რომ შელახულიყო ბავშვთა საუკეთესო ინტერესი და მათ მიეღოთ ფსიქოლოგიურ-ემოციური ტრავმა.

სარეზოლუციო ნაწილი:

1. დიტო ჩუბინიძემ დაარღვია ქარტიის პირველი, მე-7 და მე-8 პრინციპი.

პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის ნატა ტაბიძის წინააღმდეგ

საბჭოს თავმჯდომარე: გიორგი მგელაძე საბჭოს **წევრები:** თაზო კუპრეიშვილი, თამარ უჩიძე, ჯაბა ანანიძე, გერონტი ყალიჩავა, თეა ზიბზიბაძე.
განმცხადებელი: პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის
მოპასუხე: ნატა ტაბიძე

აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს განცხადებით მომართა ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“. განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ ქარტიის 1, მე-3 და მე-8 პრინციპი დაირღვა ნატა ტაბიძის ავტორობით მომზადებულ სიუჟეტში, რომელიც გადაიცა 2017 წლის 14 ივნისს ტელეკომპანია იმედის ეთერში, „იმედის დილაში“ და ეხებოდა არასრულწლოვნებს შორის ბულინგის პრობლემას. საკითხი გაშუქდა ერთი კონკრეტული ტრაგიკული შემთხვევის ფონზე, კერძოდ, სიუჟეტი შეეხებოდა არასრულწლოვნის თვითმკვლელობის ფაქტს, არსებობდა მოსაზრება/ვარაუდი, რომ არასრულწლოვანი მასზე განხორციელებულმა ბულინგმა თვითმკვლელობამდე მიიყვანა.

სხდომას დაესწრო განმცხადებლის წარმომადგენელი, მოპასუხე ჟურნალისტი სხდომას არ დასწრებია და არც შეპასუხება წარმოუდგენია. სხდომის მიმდინარეობისას განმცხადებლის წარმომადგენელმა მოხსნა საკუთარი მოთხოვნა ქარტიის მესამე პრინციპთან დაკავშირებით.

სამოტივაციო ნაწილი

ქარტიის პირველი პრინციპის თანახმად **“ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია”.** სიუჟეტი შეიცავს ინტერვიუს მხოლოდ იმ რესპონდენტებთან, რომლებიც ფაქტის სახით ავრცელებენ შემდეგ ინფორმაციას:

1. არასრულწლოვანი, რომელმაც თვითმკვლელობა ჩაიდინა, თანატოლებისაგან განიცდიდა ბულინგს.
2. თვითმკვლელობისაკენ არასრულწლოვანს მასზე განხორციელებულმა ბულინგმა უბიძგა.

სიუჟეტის ხაზიც მსგავსად არის აგებული და მაყურებელს რჩება შთაბეჭდილება, რომ ორივე ზემოთ მითითებული გარემოება დადასტურებული ფაქტია. რეალურად კი არ არსებოს არავითარი მტკიცებულება, რომ თვითმკვლელობა სწორედ ბულინგმა გამოიწვია, მიზანშეწონილი იყო, რომ ჟურნალისტს პოზიციის დაფიქსირება ეთხოვა სამართალდამცავი ორგანოებისათვის, რომლებიც აღნიშნულ ფაქტს იძიებდნენ, ან თავად ჟურნალისტის ხაზგასმით აღენიშნა, რომ რესპონდენტთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები მხოლოდ მათი პოზიცია იყო და არა დადასტურებული ფაქტი, რათა მაყურებელს სრული და ამომწურავი ინფორმაცია მიეღო თვითმკვლელობის გამომწვევი სავარაუდო მიზეზების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე საბჭო მიიჩნევს, რომ დაირღვა ქარტიის პირველი პრინციპი.

ქარტიის მე-8 პრინციპის თანახმად **„ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. ჟურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდს მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება“.**

1. როგორც პირველი პრინციპის მიმართ მსჯელობისას აღინიშნა, სიუჟეტი მაყურებელს უქმნის შთაბეჭდილებას, რომ არასრულწლოვანს თვითმკვლელობის ფაქტისაკენ უბიძგა მასზე მოძალადე სხვა არასრულწლოვანმა, ამასთან, ეს გარემოება [ძალადობა/ბულინგი] არ იყო დადასტურებული ფაქტი. რესპონდენტების მიერ „ბრალდებული“ არასრულწლოვანი რომ „მოძალადედ“ იქნა აღქმული, ამას ადასტურებს სიუჟეტზე გამოხმაურებები სოციალურ ქსელებში, რომლებიც მტკიცებულების სახით იქნა წარმოდგენილი, ერთ - ერთი მაგალითი: „დედაბუდიანად ხართ დასახოცები ვინც ამ ანგელოზს ჩაგრავდა და ამცირებდა, ქართულად ვაუკაცობა დღეს სუსტის დაჩაგვრაში გამოიხატება“.

2. სიუჟეტში მითითებული გარემოებები „მოძალადე“ არასრულწლოვანზე, დიდი ალბათობით იძლევა მისი იდენტიფიცირების საშუალებას: დასახელდა სოფელი და სკოლა, „მოძალადე“ არასრულწლოვანის სქესი, ინფორმაცია რომ და-ძმანი არიან, რომ არ სწავლობდნენ ორი წელი სკოლაში და ახლა ბრუნდებიან.

ზემოთ მითითებული გარემოებების ურთიერთშეჯერების შედეგად სახეზეა, რომ არასრულწლოვანი იდენტიფიცირებადია, იგი აღქმულია მოძალადედ, რომელსაც ბრალი მიუძღვის სხვა არასრულწლოვანის თვითმკვლელობამდე მიყვანაში, ეს რეალურად საფრთხეს უქმნის მას და თვალნათელია შესაძლო ნეგატიური შედეგები. მეტიც, როგორც სიუჟეტი, ისე სიუჟეტზე გამოხმაურებები შეიცავენ მუქარებს ამ არასრულწლოვანის მიმართ, შესაბამისად ცალსახაა, რომ სიუჟეტის მომზადებისას არ იქნა გათვალისწინებული არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესები, რამაც გამოწვია ქარტიის მე-8 პრინციპის დარღვევა.

ცალკე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სიუჟეტი შეიცავს არასრულწლოვანის თვითმკვლელობის დეტალებს, ქარტიის რეკომენდაციები „სუიციდის გაშუქების სახელმძღვანელო წესები“ ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ „სუიციდის განხორციელების ადგილი და დეტალების გასაჯაროვება საჭირო არ არის. ამგვარ დეტალებზე ყურადღების გამახვილებით შესაძლოა, უნებურად თავად ვასწავლოთ, თუ როგორ გაიკეთონ ეს“, „ეცადეთ, არ გამოაქვეყნოთ იმ პირის ფოტო, ვინც სუიციდის შედეგად გარდაიცვალა“.

ქარტიის სახელმძღვანელო წესები „ბავშვთა საკითხების გაშუქება“ ასევე შეიცავს რეკომენდაციებს არასრულწლოვნის სუიციდის ფაქტის გაშუქებასთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნულია, რომ: „არ დაასახელოთ სუიციდის ერთი კონკრეტული მიზეზი, რადგან სუიციდს კომპლექსური პრობლემები იწვევს“. რეკომენდაციები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არასრულწლოვანის სუიციდის ფაქტის გაშუქებისას, მით უფრო როცა სუიციდი უაპელაციოდ დაკავშირებულია ბულინგთან, ეს კი შეიძლება ბიძგი გახდეს სხვა არასრულწლოვნებისათვის, რომლებიც ასევე განიცდიან ბულინგს, მსგავსს ფატალურ ხერხს მიმართონ პრობლემებისაგან გასაქცევად.

სარეზოლუციო ნაწილი

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე:

1. ნატა ტაბიძემ დაარღვია ქარტიის პირველი და მე-8 პრინციპი.

პარტია „თავისუფალი საქართველო“ ლევან ჯავახიშვილის და ბელა ზაქაიძის წინააღმდეგ

საბჭოს თავმჯდომარე: გიორგი მგელაძე
საბჭოს წევრები: ჯაბა ანანიძე, ნინო ჯაფიაშვილი, თეა ზიბზიბაძე, თაზო კუპრეიშვილი, მაია მეცხვარიშვილი.
განმცხადებელი: პარტია თავისუფალი საქართველო
მოპასუხე: ლევან ჯავახიშვილი და ბელა ზაქაიძე

აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს განცხადებით მომართა პარტიამ „თავისუფალი საქართველო“, რომელიც მიიჩნევდა, რომ 2017 წლის 11 აპრილს, ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში, გადაცემა „ქრონიკაში“ გასულ სიუჟეტში დაირღვა ქარტიის 1-ლი, მე-3, მე-5 და მე-11 პრინციპი. გადაცემის წამყვანი იყო ლევან ჯავახიშვილი, ხოლო სიუჟეტის ავტორი – ბელა ზაქაიძე. სადავო მასალა შეეხებოდა პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ბრიფინგს, რომელიც გაიმართა სამცხე-ჯავახეთში პარტიის წევრების დევნის ფაქტების და მასთან დაკავშირებული სხვა გარემოებების შესახებ. კერძოდ, ბრიფინგზე გაჟღერებული ინფორმაციის თანახმად სამცხე-ჯავახეთში პარტიის წევრები, აშოტ და კარლოს რაისიანები, სუს-ის და სამცხე-ჯავახეთის შს სამმართველოს მიერ ჩატარებული ერთობლივი ოპერაციის დროს ახალქალაქიდან გაიტაცეს ყოველგვარი ბრალდების და დაკავების პროცედურების გარეშე. ბრიფინგზე ასევე ითქვა, რომ პარტიის წევრებზე განხორციელდა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა.

საქმის განხილვას დაესწრო განმცხადებლის წარმომადგენელი, ხოლო მოპასუხე ჟურნალისტმა, ბელა ზაქაიძემ საბჭოს კითხვებს დისტანციური საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით უპასუხა. განმცხადებელმა სხდომის მიმდინარეობისას მოხსნა მისი მოთხოვნა ქარტიის მე-5 პრინციპის სავარუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით.

სამოტივაციო ნაწილი:

ქარტიის პირველი პრინციპის მიხედვით „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია”.

ლევან ჯავახიშვილის ნაწილში: სიუჟეტს წინ უძღვის ლევან ჯავახიშვილის ტექსტი, სადაც ის აღნიშნავს, რომ: „ჩვენ დავინტერესდით რომელი აქტივობით დააფრთხო უსაფრთხოების სამსახური კახა კუკავას პარტიამ, თუმცა ამ კითხვაზე პასუხი სავარაუდოდ თავად პარტიაშიც არა აქვთ“. აღნიშნულთან დაკავშირებით განმცხადებელმა წარმოადგინა იმ ბრიფინგის სრული ვიდეო ჩანაწერი, რაც გაშუქდა სიუჟეტით. ჩანაწერიდან ცალსახად ჩანს, რომ პარტიის წარმომადგენელი საუბრობს იმ მიზეზებზე, რომელმაც მათი აზრით, გამოიწვია ზეწოლის ფაქტი პარტიის წევრებზე, კერძოდ პარტიამ რეგიონში [ახალქალაქში] არჩევნების დროს ხმების 29% მიიღო და მათი აზრით, სწორედ ეს შედეგები გახდა პარტიის წევრების დაკავების მიზეზი. აღნიშნულ განმარტებას ასევე შეიცავდა პარტიის პრესრელიზიც, რომელიც დაეგზავნა მედია საშუალებებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საბჭო მიიჩნევს, რომ ჟურნალისტ ლევან ჯავახიშვილის ტექსტი – „ჩვენ დავინტერესდით რომელი აქტივობით დააფრთხო უსაფრთხოების სამსახური კახა კუკავას პარტიამ, თუმცა ამ კითხვაზე პასუხი სავარაუდოდ თავად პარტიაშიც არა აქვთ“, არ შეესაბამებოდა სიმართლეს, პარტიას ჰქონდა მოსაზრება ზეწოლის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით, რაც საჯაროდაც გაავრცელა, შესაბამისად ლევან ჯავახიშვილის მიერ დაირღვა ქარტიის პირველი პრინციპი.

ბელა ზაქაიძის ნაწილში: ჟურნალისტი ბელა ზაქაიძე სიუჟეტის დასკვნით ნაწილში უთითებს, რომ: „აღსანიშნავია, რომ კარლოს რაისიანმა [დაკავებულმა პირმა] ზეწოლის შესახებ საჯარო განცხადება 10 დღის შემდეგ გააკეთა“. განმცხადებელი აპელირებდა, რომ ინფორმაცია იყო არასწორი, რადგან დაზარალებულმა ზე-

წოლის შესახებ განაცხადა სასამართლო სხდომაზევე. ქარტიის საბჭო მიიჩნევს, რომ ამ საფუძვლით ქარტიის პირველი პრინციპი არ დარღვეულა ვინაიდან:
1. საბჭო გაეცნო სასამართლოს აქტს რაისიანის დაკავების შესახებ, სადაც არ იყო აღნიშნული რომ რაისიანი მიუთითებდა მასზე განხორციელებული ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზეწოლის შესახებ.
2. რომც დავუშვათ, რომ სასამრთლო სხდომაზე დაკავებულმა ზეპირად მიუთითა ზეწოლაზე რაისიანმა [და არ აისახა სასამართლოს აქტში] ეს მაინც არ ჩაითვლება საჯარო განცხადებად. მართალია, სასამართლო სხდომები საჯაროა, მაგრამ საზოგადოების ინფორმირების მიზნებისათვის სასამართლო სხდომაზე გაჟღერებული ფაქტები არ წარმოადგენს საჯარო განცხადებას. ფართო აუდიტორიისთვის ინფორმაცია გასაჯაროვდა პრესრელიზის დაგზავნით და ბრიფინგით, სადაც მოწვეული იყვნენ ჟურნალისტები გასაშუქებლად.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ბელა ზაქაიძის მიმართ საბჭოს დამსწრე წევრთა პოზიციები გაიყო. კერძოდ ერთი ნაწილი თვლიდა, რომ პირველი პრინციპი მაინც დარღვევა, ვინაიდან:
ლევან ჯავახიშვილის შესავალი ტექსტი: „ჩვენ დავინტერესდით რომელი აქტივობით დაიფრთხო უსაფრთხოების სამსახური კახა კუკავას პარტიამ, თუმცა ამ კითხვაზე პასუხი სავარაუდოდ თავად პარტიაშიც არა აქვთ“ და ბელა ზაქაიძის ბოლო განცხადება, რომ დაზარალებულმა ზეწოლის ფაქტის შესახებ საჯარო ათი დღის შემდეგ განაცხადა, მაყურებელს უტოვებდა კითხვებს/ეჭვებს, ხომ არ მალავდა რამე გარემოებას პარტია, შესაბამისად საჭირო იყო ბელა ზაქაიძეს გადაემოწმებინა თუ რატომ გააკეთეს საჯარო განცხადება ფაქტიდან 10 დღის შემდეგ. საბჭოსთან საუბრის დროს თავად ბელა ზაქაიძემ აღნიშნა, რომ ფაქტიდან 10 დღის შემდეგ ბრიფინგი მასაც უჩენდა კითხვებს, შესაბამისად, საბჭოს იმ წევრებს, რომელნიც მხარს უჭერდნენ პირველი პრინციპის დარღვევას უფრო გაუმყარდათ საკუთარი პოზიცია, ვინაიდან თავად ჟურნალისტსაც გაუჩნდა კითხვა თუ რატომ მოხდა ინფორმაციის გასაჯაროვება 10 დღის შემდეგ.

საბჭოს წევრების ნაწილის აზრით, იმის გათვალისწინებით რომ ზეწოლის ფაქტის შესახებ საჯაროდ მართლაც 10 დღის შემდეგ გახდა ცნობილი, ბელა ზაქაიძემ გარემოებები გადმოსცა ზუსტად, შესაბამისად უზრუნველყო ქარტიის პირველი პრინციპის დაცვა და ის, რომ მან არ გამოარკვია მიზეზი, თუ რატომ გაიმართა ბრიფინგი 10 დღის შემდეგ არ იყო არსებითი და არ იწვევდა ქარტიის პირველი პრინციპის დარღვევას.

ქარტიის საქმისწარმოების წესის თანახმად – თუ კონკრეტულ გადაწყვეტილებას [პრინციპის დარღვევა ან არ დარღვევა] მხარი არ დაუჭირა მინიმუმ 5 წევრმა, გადაწყვეტილება ვერ იქნება მიღებული და მხოლოდ ქვეყნდება როგორც დარღვევის დადგენის მომხრე, ისე მოწინაღმდეგე საბჭოს წევრთა არგუმენტები.

ქარტიის მესამე პრინციპის თანახმად: „ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია. ჟურნალისტმა არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები, არ უნდა გააყალბოს დოკუმენტები და ინფორმაცია“. განმცხადებელი მესამე პრინციპს დარღვეულად მიიჩნევდა იმავე საფუძვლით, რომელსაც უთითებდა პირველი პრინციპის ჭრილში, შესაბამისად საბჭომ აღნიშნულ საფუძვლებზე იმსჯელა პირველ პრინციპთან დაკავშირებით. განმცხადებელმა დამატებით ვერ დაასაბუთა თუ რა ინფორმაცია იქნა მიჩქმალული და გაყალბებული მოპასუხე ჟურნალისტების მიერ.

ქარტიის მე-11 პრინციპის თანახმად „მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება“. ვინაიდან პირველი პრინციპის დარღვევის დადგენა არის მე-11 პრინციპზე [ფაქტების განზრახ დამახინჯების კუთხით] მსჯელობის წინაპირობა, საბჭომ შეეფასა თუ რამდენად იკვეთებოდა ლევან ჯავახიშვილის განცხადებებში განზრახვა. საბჭომ იმსჯელა და მიიჩნია, რომ ლევან ჯავახიშვილს არ ჰქონდა ფაქტის დამახინჯების განზრახვა და დიდი ალბათობით მის მიერ გაკეთებული გნაცხადება, რომლის მიმართაც დადგინდა პირველი პრინციპის დარღვევა, განპირობებული იყო იმით, რომ მან არ იცოდა პარტიის წარმომადგენელმა ზეწოლის რა მიზეზებზე ისაუბრა ბრიფინგზე ან ამ მიზეზების სუბიექტური აღქმით.

სარეზოლუციო ნაწილი:

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე:

1. ლევან ჯავახიშვილმა დაარღვია ქარტიის პირველი პრინციპი.
2. ბელა ზაქაიძის მიმართ, პირველ პრინციპთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული.
3. ბელა ზაქაიძეს და ლევან ჯავახიშვილს არ დაურღვევიათ ქარტიის მესამე და მე-11 პრინციპები.

თანასწორობის მოძრაობა ინგა გრიგოლიას წინააღმდეგ

საბჭოს თავმჯდომარე: გიორგი მგელაძე
საბჭოს წევრები: ჯაბა ანანიძე, ნინო ჯაფიაშვილი, მაია მამულაშვილი, თაზო კუპრეიშვილი, მაია მეცხვარიშვილი
განმცხადებელი: თანასწორობის მოძრაობა
მოპასუხე: ინგა გრიგოლია

აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს განცხადებით მომართა თანასწორობის მოძრაობამ, რომელიც მიიჩნევდა, რომ 2017 წლის 3 აპრილს ტელეკომპანია ,,პირველის'' პირდაპირ ეთერში ტოქშოუ ,,რეაქციაში", რომლის წამყვანიც არის ჟურნალისტი ინგა გრიგოლია, დაირღვა ქარტიის მე-7 პრინციპი. გადაცემის თემა იყო უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობა, კერძოდ ტრანსგენდერი ადამიანების უფლებები.

საქმის განხილვას დაესწრო განმცხადებლის წარმომადგენელი, ხოლო მოპასუხე ჟურნალისტი სხდომას არ დასწრებია და არც შეპასუხება წარმოუდგენია.

სამოტივაციო ნაწილი

ქარტიის მეშვიდე პრინციპის მიხედვით **„ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე. ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით".**

ქარტიის საბჭომ არაერთ გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხებოდა მეშვიდე პრინციპის დარღვევას, აღნიშნა, რომ მეშვიდე პრინციპი ჟურნალისტს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას. კერძოდ, ჟურნალისტი არა მხოლოდ თავად არ უნდა იყოს დისკრიმინაციული განცხადებების და ზოგადად დისკრიმინაციის წყარო, არამედ ყველა ღონე უნდა იხმაროს სხვა პირთა დისკრიმინაციული განცხადებების გავრცელების თავიდან ასაცილებლად. დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის შემცველი მოსაზრება შესაძლებელია ჟურნალისტურ მასალაში მოხვდეს იმ შემთხვევაში, როდესაც გაშუქების მიზანია იმის ჩვენება თუ რა დისკრიმინაციული ტერმინოლოგიით საუბრობს საჯარო პირი ან/და ასეთი განცხადება კეთდება პირდაპირ ეთერში. ასეთ დროს ჟურნალისტმა მაშინვე ცხადად უნდა დააფიქსიროს, რომ დისკრიმინაციული ტერმინოლოგია/დამოკიდებულება არის მიუღებელი როგორც მისთვის, ისე მედიასაშუალებისათვის.

სადავო გადაცემაში მოწვეული სტუმრები იყენებდნენ დისკრიმინაციულ, ჰომოფობიურ გამონათქვამებს სექსუალური უმცირესობების მიმართ და აყენებდნენ შეურაცხყოფას. მაგალითად, ხშირად მოიხსენიებდნენ მათ როგორც „მამათმავლებს". როგორც უკვე საბჭომ აღნიშნა გადაწყვეტილებაში „ბექა გაბადაძე თეა ადეიშვილის წინააღმდეგ", ეს ტერმინი თავად სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი პირების მიერ აღიქმება შეურაცხყოფად, ასევე მისი გამოყენება თანხვედრაშია ჰომოფობიური ჩაგვრის [როგორც ვერბალური, ისე ფიზიკური] პრაქტიკაში დამკვიდრებულ ტერმინებთან. შეურაცხყოფის ობიექტი იყო სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი პირების ჩაცმულობა, ინტელექტი და ა.შ. არც ერთ ასეთ შემთხვევაში ჟურნალისტს არ დაუფიქსირებია საკუთარი პოზიცია და არ შეუფასებია რესპონდენტების ტერმინები როგორც ჰომოფობიური და დისკრიმინაციული.

აღსანიშნავია ისიც, რომ გადაცემაში მონაწილე პირების შერჩევისას სავარაუდო იყო მოსალოდნელი დისკრიმინაცია, ვინაიდან უმრავლესობა მათგანი ცნობილია ჰომფობიური გამონათქვამებით და განწყობით, შესაბამისად

წაყვანს უნდა ჰქონოდა მოლოდინი, რომ ისინი კვლავ გაიმეორებდნენ დისკრიმინაციულ ტერმინებს. ამის გათვალისწინებით მით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ჟურნალისტის მიერ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას, რომ მიუღებელია დისკრიმინაცია.

გადაცემის სტუმრებს მიეცათ შეუზღუდავი შესაძლებლობა, ყოველგვარი ჯანსაღი შეფასებების და ოპონირების გარეშე მოეხდინათ ჰომოფობიური იდეების, დამოკიდებულებების ტირაჟირება, ასევე სიძულვილის ენის, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი შეფასებების [არანორმალურები, არანორმალური ცხოვრების წესის მქონენი, მამათმავლები, ცოდვილი ადმიანები, ბილწი ადამიანები, გარყვნილები, მონები და ა.შ.] გამოყენებით ტრანსგენდერი ადამიანებისთვის მიეყენებინათ შეურაცხყოფა, დაემცირებინათ და მოეხდინათ მარგინალიზაცია, წაეხალისებინათ და გაეღვივებინათ მათ მიმართ მტრული დამოკიდებულება. ასეთ შემთხვევაში წამყვანმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა რესპონდენტების მოწვევაზე, მათთვის შეუზღუდავი თავისუფლების მინიჭებაზე, კონფლიქტის პროვოცირებაზე, სიძულვილის და ჰომოფობიური იდეების სათანადო არშემჩნევასა და შეფასებაზე, გადაცემაში პრობლემის რეალურად წარმოჩენისა და განხილვის ნაცვლად, ხელი შეეწყო საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპებისა და სტიგმების გამყარებას.

თავად ჟურნალისტმა გადაცემის მიმდინარეობისას აღნიშნა, რომ მისი მიზანი იყო აესახა რეალობა. აღნიშნული არგუმენტი არ ამართლებს დისკრიმინაციის და ჰომოფობიის ტირაჟირების ხელშეწყობას. პრობლემაზე საუბარი სრულად შესაძლებელია შეურაცხყოფის და დისკრიმინაციის გარეშე, ხოლო თუ ეს პრობლემა [შეურაცხყოფა და დისკრიმინაცია] გადაცემის მსვლელობისას იჩენს თავს, წამყვანმა უნდა უზრუნველყოს მისი შეზღუდვა. ჟურნალისტის ვალდებულებაა მიმართოს თავისი საქმიანობა საზოგადოებაში არსებული ირაციონალური შიშების და ზიზღის წინააღმდეგ სექსუალური უმცირესობების მიმართ. ქარტიის მე-7 პრინციპის მიზნებისათვის შეუსაბამოა ჟურნალისტური პლატფორმის გამოყენება მხოლოდ დისკრიმინაციის და ჰომოფობიის გასავრცელებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე:
1. ინგა გრიგოლიამ დაარღვია ქარტიის მე-7 პრინციპი.

აუდიტორია 115 გიორგი კვიტაშვილის წინააღმდეგ

საბჭოს თავმჯდომარე: გიორგი მგელაძე
საბჭოს წევრები: ჯაბა ანანიძე, ნინო ჯაფიაშვილი, თაზო კუპრეიშვილი, თეა ზიბზიბაძე, თამარ უჩიძე.
განმცხადებელი: აუდიტორია 115
მოპასუხე: გიორგი კვიტაშვილი

აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს განცხადებით მომართა სტუდენტთა გაერთიანებამ „აუდიტორია 115-მა“, რომელიც მიიჩნევდა, რომ 2017 წლის 20 თებერვალს გაზეთ „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყებულ სტატიაში „როგორი სქემითმოქმედებდა (მოქმედებს) “აუდიტორია 115″ “ბიბლუსის”წინააღმდეგ“ დარღვა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი და მე-3 პრინციპი. სტატიის ავტორი იყო გიორგი კვიტაშვილი. სადავო სტატია ეხებოდა „აუდიტორია 115-ის“ პროტესტს მაღაზიათა ქსელ „ბიბლუსის“ წინააღმდეგ. სადავო სტატია ასევე გამოქვეყნდა ვებგვერდზე ambebi.ge და სტატიის ერთი ნაწილი ვიდეოს სახით განთავსდა http://www.palitravideo.ge-ზე.

საქმის განხილვის დროს სხდომას დაესწრო როგორც განმცხადებლის, ისე მოპასუხის წარმომადგენელი. მოპასუხე ჟურნალისტმა ასევე წარმოადგინა შეპასუხება წერილობითი სახით. განმცხადებელმა სხდომის მიმდინარეობისას მოხსნა მისი მოთხოვნა ქარტიის მე-3 პრინციპის დარღვევასთან დაკავშირებით.

სამოტივაციო ნაწილი:

ქარტიის პირველი პრინციპის თანახმად **“ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია”.**

სტატიაში აღწერილია ე.წ. „სქემა“, რომლითაც „აუდიტორია 115“ მოქმედებდა/მოქმედებს წიგნების მაღაზიათა ქსელ „ბიბლუსის“ წი-

ნააღმდეგ. საბჭო მიიჩნევს, რომ ე.წ. „სქემაში“ მითითებული რიგი გარემოებები უნდა შეფასდეს როგორც ჟურნალისტის მიერ დადასტურებული ფაქტის სახით გავრცელება, ვინაიდან:

1. ჟურნალისტი მტკიცებით ფორმაში აღნიშნავს, რომ სქემა „მოქმედებდა“/„მოქმედებს“ ანუ უკვე არსებობს და არ უთითებს, რომ ეს მისი პირადი მოსაზრება ან ვარაუდია.
2. ჟურნალისტი ასევე აღნიშნავს, რომ „ბიბ-ლუსმა მოახერხა ამ სქემის ჯაჭვის გაწყვეტა“ ანუ რეალურად არსებობდა სქემა, რომელიც გაწყვიტეს.

ზემოაღნიშნული მსჯელობის საფუძველზე სქემაში მითითებული რამდენიმე გარემოება საბჭოს მიერ შეფასებული იქნა, როგორც ჟურნალისტის მიერ დადასტურებული ფაქტის სახით გავრცელება:

1. **„კომპანიაში გავლენის აგენტის ჩანერგვა ან არსებული თანამშრომლების შერჩევა და გადაბირება“** ჟურნალისტი თავის შეპასუხებაში უთითებდა, რომ ეს იყო არა ფაქტი, არამედ ვარაუდი, რასაც ვერ დაეთანხმება ქარტიის საბჭო. წინადადება მოცემულია მტკიცებით ფორმაში და მითითებულია, რომ ან მოხდა „შერჩევა“ ან „გადაბირება“, ანუ ამ ორი გარემოებიდან ერთ – ერთი არსებობდა. შესაბამისი მტკიცებულებები კი არც სტატიაში იყო მითითებული და ვერც შემდგომ იქნა წარმოდგენილი.
2. **„კომპანიის თანამშრომლების ახალ – ახალი „მიმართვების“ ორგანიზება, პარალელურად, კომპანიაზე ზეწოლის გაგრძელება „ფეისბუქში“ „აუდიტორიის“ აქტივისტების მიერ, მათ შორის ყალბი ფეისბუქ გვერდების გამოყენებით“** წინადადებაში მტკიცებით ფორმაში მითითებულია, რომ „აუდიტორიის“ აქტივისტები ყალბ ფეისბუქგვერდებს იყენებდნენ. აღნიშნულთან დაკავშირებით მოპასუხემ წარმოადგინა ფეისბუქგვერდები, რომელთა მიმართ ობიექტურად შეიძლება გაჩენილიყო ვარაუდი, რომ ისინი არ იყვნენ აქტიური ფეისბუქ მომხმარებლები, მაგრამ ამით არ დასტურდებოდა, რომ ჟურნალისტის მიერ „ყალბად“ მოხსენიებული ფეისბუქგვერდები „აუდიტორია 115-ის“ ან მასთან დაკავშირებული პირების მიერ იყო შექმნილი.

სარეზოლუციო ნაწილი:

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭომ მიიჩნია:
1. გიორგი კვიტაშვილმა დაარღვია ქარტიის პირველი პრინციპი.

პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის მარი მალაზონიას წინააღმდეგ

საბჭოს თავმჯდომარე: გიორგი მგელაძე
საბჭოს წევრები: ჯაბა ანანიძე, ნინო ჯაფიაშვილი, თაზო კუპრეიშვილი, თეა ზიბზიბაძე, თამარ უჩიძე.
განმცხადებელი: პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის
მოპასუხე: მარი მალაზონია

აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს განცხადებით მომართა „პარტნიორობამ ადამიანის უფლებებისთვის“, რომელიც მიიჩნევდა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, 2017 წლის 27 იანვარს გასულ გადაცემაში „პირადი ექიმი – მარი მალაზონია“, დაირღვა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-8 და მე-10 პრინციპი. გადაცემის წამყვანი და ავტორი არის მარი მალაზონია. სადავო გადაცემა შეეხებოდა D ვიტამინისა და კალციუმის ნაკლებობას ბავშვებში და შესაძლო ნეგატიურ შედეგებს. გადაცემაში მონაწილეობდა არასრულწლოვანი, რომლის ნახევრად შიშველი სხეული აჩვენეს კონკრეტულ დაავადებაზე საუბრისას.

საქმის განხილვის დროს სხდომას დაესწრო როგორც განმცხადებლის წარმომადგენელი, ისე მოპასუხე ჟურნალისტი. განმცხადებელმა სხდომის მიმდინარეობისას მოხსნა მისი მოთხოვნა ქარტიის მე-10 პრინციპის დარღვევასთან დაკავშირებით.

სამოტივაციო ნაწილი

ქარტიის მე-8 პრინციპის მიხედვით **„ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ**

მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის.“

განმცხადებელი მე-8 პრინციპის დარღვევას მიიჩნევდა შემდეგი არგუმენტაციით: „გადაცემაში მოწვეული ბავშვის მიმართ ადგილი ჰქონდა მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ღირსების უფლების დარღვევას. გადაცემის წამყვანმა ბავშვის სხეული გამოიყენა საჩვენებელ ობიექტად. შედეგად, მან ხელყო ბავშვის ღირსება, ხოლო მისი დეფორმირებული გულ-მკერდის ჩვენებით, გაუმართლებლად შეიჭრა ბავშვის პირად ცხოვრებაში. ამასთან, გადაცემაში ნაჩვენები კადრები, შესაძლოა, გამხდარიყო ბავშვებს შორის ბულინგის საფუძველი სასწავლო დაწესებულებაში“.

მოპასუხე მარი მალაზონიამ აღნიშნა, რომ გადაცემაში ბავშვის მდგომარეობა არ იყო შეფასებული როგორც დაავადება, არამედ ეს იყო გარდამავალი, შექცევადი მდგომარეობა, არ იყო აღნიშნული, რომ სწორედ ამ ბავშვს აქვს ე.წ. „ქათმის გულმკერდი“. დამატებით ასევე აღნიშნა, რომ გადაცემაში ბავშვის მონაწილეობაზე არსებობდა მშობლის თანხმობა, აღნიშნული გარემოება დაადასტურა სხდომაზე დამსწრე არასრულწლოვნის დედამაც. მოპასუხემ ასევე მიუთითა, რომ მათ მხოლოდ პოზიტიური განზრახვა ამოძრავებდათ და სურდათ საზოგადოების ინფორმირება იმ ფართოდ გავრცელებულ და ნეგატიურ შედეგებზე, რასაც არასრულწლოვნებში კალციუმის და ვიტამინ D-ს ნაკლებობა იწვევს.

ქარტიის საბჭო ვერ დაეთანხმება მოპასუხის არგუმენტაციას და ქვემოთ მითითებული გარემოებების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მაყურებელს დარჩებოდა შთაბეჭდილება, რომ დაავადება ზუსტად გადაცემაში მონაწილე არასრულწლოვანს აღენიშნებოდა:

1. წამყვანი მარი მალაზონია გადაცემაში აშიშვლებს არასრულწლოვანის გულმკერდს და პარალელურად ამბობს – „მშობლები ნაკლებად აქცევენ ყურადღებას როგორ გამოიყურება ბავშვის მუცელი და გულმკერდი“, შემდეგ არასრულწლოვანი გადაინაცვლებს მოწვეულ ექიმთან, რომელიც ხელით მინიშნებას აკეთებს არასრულწლოვანის სხეულზე და აღნიშნავს, რომ „თვალნათელია გულმკერდის დეფორმაცია, ადრე მას ქათმის, მეწაღისებურ გულმკერდს ეძახდნენ“.
2. შემდეგ უკვე მარი მალაზონია მიმართავს მაყურებელს და სთხოვს ყურადღებას ბავშვის სხეულზე, მოწვეული ექიმი კი აგრძელებს, რომ „გამოხატულია ჰარისონის ღარი, რომელიც ერთ – ერთი დამახასიათებელი ნიშანია კალციუმის ნაკლებობის“. „ხშირად მშობლები ამის გამოსწორებას [და უთითებს ისევ ბავშვის გულმკერდზე] ცდილობენ მასაჟებით“, შემდეგ უკვე საჩვენებლად იყენებს ბავშვის მაჯას და აღნიშნავს რომ ერთ – ერთი ნიშანია რაქიტის განვითარების.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ დაირღვა ბავშვის ინტერესი, კერძოდ საზოგადოებამ იგი აღიქვა როგორც პირი, რომელსაც აქვს კონკრეტული დაავადებები, იმის მიუხედავად, რეალურად იყო თუ არა დაავადებული იგი, მთავარია თუ რა ინფორმაცია გავრცელდა მის შესახებ. პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის საიდუმლოდ დაცვა თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ რეალურად არსებული დაავადების გაუმჟღვანებლობას, არამედ იმასაც, რომ პირდაპირ ან ირიბად არ უნდა მოხდეს ისეთი შთაბეჭდილების შექმნა, რომ თითქოს კონკრეტულ პირს დაავადება აქვს, ვინაიდან ორივე შემთხვევას პირადი ცხოვრების საიდუმლოების და ღირსების დაცვის კუთხით ერთი და იგივე ნეგატიური შედეგი შეიძლება მოჰყვეს.

საბჭო ასევე ყურადღებას ამახვილებს ტერმინ „ქათმის მკერდის“, „რაქიტის“ გამოყენებაზე და დაეთანხმება განმცხადებელს, რომ ეს შესაძლებელია იყოს ბულინგის წინაპირობა, ბავშვი შეიძლება სხვადასხვა პირის მიერ მოხსენიებული იყოს როგორც „რაქიტიანი“, „ქათმის მკერდიანი“.

დაავადების პრევენციის მიმართ შესაძლებელია არსებობდეს საზოგადოებრივი ინტერესი, მაგრამ ამან არ უნდა ხელყოს თავად ბავშვის ინტერესი. მისი სხეულის ჩვენება და აზრის შექმნა, რომ მას აქვს სხეულის დეფორმაცია, დიდი ალბათობით შეიძლება აღმოჩნდეს მისი ღირსების შემლახველი როგორც ახლო მომავალში, ისე ზრდასრულ ასაკში.

რაც შეეხება მშობლის თანხმობას, საბჭო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ბავშვთან დაკავშირებით არსებითია არა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, არამედ თავად ბავშვის ინტერესი. ეთიკური ჟურნალისტიკის პრინციპებიდან გამომდინარე ჟურნალისტის პოზიტიური ვალდებულებაა იზრუნოს ბავშვის ინტერესზე. მშობლის თანხმობა არ უნდა ჩაითვალოს პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძვლად, როცა ლოგიკური განსჯის შედეგად ცალსახაა, რომ არ არსებობს არასრულწლოვნის პირადი ინტერესი და მეტიც, ხდება მისი პირადი ცხოვრების ხელყოფა. ცალსახაა, რომ ბავშვი ვერ აცნობიერებს მის გადაცემაში მონაწილეობის შედეგებს. შესაძლებელია თავად მისთვის სახალისო და მოსაწონი იყოს ტელეეკრანზე გამოჩენა და იგივე მოტივი ამოძრავებდეს მშობელსაც, მაგრამ უნდა შეფასდეს რა დამოკიდებულება შეიძლება ჰქონდეს მას ზრდასრულ ასაკში, როცა ბავშვობისას მასზე მიუთითებდნენ როგორც „ქათმის მკერდიანს“ და სხეულდეფორმირებულს. პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ქმედუნარიანი პირის დამოუკიდებელი გადაწყვეტილებაა, ასეთ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს ბავშვი და ხშირად მშობლის ინტერესი და თანხმობა შეიძლება არ იყოს შესაბამისობაში ბავშვის ინტერესთან.

სარეზოლუციო ნაწილი:

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭომ მიიჩნია:

1. მარი მალაზონიამ დაარღვია ქარტიის მე-8 პრინციპი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ნარმანია და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა გიორგი გაბუნიას და მაია ლომიძის წინააღმდეგ

საბჭოს თავმჯდომარე: გიორგი მგელაძე
საბჭოს წევრები: ჯაბა ანანიძე, ნინო ჯაფიაშვილი, თაზო კუპრეიშვილი, თეა ზიბზიბაძე, თამარ უჩიძე.
განმცხადებელი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ნარმანია და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა
მოპასუხე: გიორგი გაბუნია და მაია ლომიძე

აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს განცხადებით მომართეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით ნარმანიამ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ. ისინი მიიჩნევდნენ, რომ 2017 წლის 12 თებერვალს ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ ეთერში, გადაცემა „კურიერი P.S.-ში“ გასულ სიუჟეტში, რომელიც ეხებოდა თბილისში არსებული საზოგადოებრივი საპირფარეშოების კეთილმოწყობის პრობლემას, დაირღვა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი, მე-3, მე-7 და მე-11 პრინციპი. გადაცემის წამყვანი იყო გიორგი გაბუნია, სიუჟეტის ავტორი კი – მაია ლომიძე.

საქმის განხილვის დროს სხდომას დაესწრნენ განმცხადებლის წარმომადგენელები, მოპასუხე გიორგი გაბუნია სხდომას არ დასწრებია და არც შეპასუხება წარმოუდგენია, ხოლო მაია ლომიძე განცხადებას კომენტარით გამოეხმაურა სოციალურ ქსელ FACEBOOK-ში. სხდომის დროს პირველი, მე-7 და მე-11 პრინციპების ჭრილში მოპასუხე ჟურნალისტად დაზუსტდა გიორგი გაბუნია, ხოლო მე-3 პრინციპის მიმართ – მაია ლომიძე.

სამოტივაციო ნაწილი:

როგორც აღინიშნა, სადავო სიუჟეტი ეხებოდა თბილისში საზოგადოებრივი საპირფარეშოების პრობლემას. ნაჩვენები იყო, რომ რიგი მათგანი საერთოდ არ ფუნქციონირებს და ანტისანიტარიის წყაროდ არის ქცეული.

საბჭოს მიერ გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

1. სიუჟეტის ავტორი დაეყრდნო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნას რომლის თანახმად:
   - საპირფარეშოების ნაწილი საერთოდ არ ფუნქციონირებს.
   - საპირფარეშოების უფუნქციობის მიზეზად სახელდება მათი მოწყობის ადგილებში საკანალიზაციო ქსელის არ არსებობა, რაც შესას-

რულებელი სამუშაოების შესყიდვის არასწორ დაგეგმვაზე მიუთითებს.

- იმ საპირფარეშოების კეთილმოწყობაზე, რომელიც ნაჩვენები იყო აუდიტის დასკვნაში ხელშეკრულებები გაფორმებულია ი/მ „მერაბ გულდენთან“ 2014 წლის 21 მაისს, შპს „ირკ“ თან, 2014 წლის 12 ივნისს.

2. სიუჟეტის ავტორი მაია ლომიძე გაცნობილი იყო აუდიტის დასკვნას.
3. ქალაქ თბილისის მერის დავით ნარმიანიას უფლებამოსილება ოფიციალურად ცნობილი იქნა 2014 წლის 02 აგვისტოს.

ქარტიის პირველი პრინციპის თანახმად **“ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლესდა საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია”.**

სიუჟეტს წინ უძღოდა წამყვან გიორგი გაბუნიას ტექსტი, სადაც მან აღნიშნა: „დავითნარმანიას შეუდარებელმა კოლექტივმა გადაწყვიტა, ადამიანობაგამოეჩინა და თბილისისყველაზე დატვირთულ წერტილებში საზოგადოებრივი ტუალეტები დაამონტაჟა“. როგორც უკვე აღინიშნა, [ფაქტობრივი გარემოებები 1.3 და 3] სიუჟეტში ნაჩვენები საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოწყობის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იყო დავით ნარმანიას უფლებამოსილების ცნობამდე, შესაბამისად ინფორმაცია, რომ „დავით ნარმანიას შეუდარებელმა კოლექტივმა გადაწყვიტა“ არ შეესაბამება სიმართლეს და ამით ირღვევა ქარტიის პირველი პრინციპი.

ქარტიის მე-3 პრინციპის თანახმად: “ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდიმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია.ჟურნალისტმა არუნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები, არ უნდა გააყალბოს დოკუმენტები დაინფორმაცია”. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ ადგილი ჰქონდა იმ ფაქტის მიჩქმალვას, რომლის თანახმად გადაწყვეტილება, საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოწყობის შესახებ, მიღებული იყო ქ. თბილისის წინა მთავრობის მიერ.

თავად მაია ლომიძემ დაადასტურა, რომ იგი იცნობდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნას და შესაბამისად მისთვის ცნობილი იყო, რომ ხელშეკრულებები გაფორმდა ქ. თბილისის წინა მთავრობის მიერ. სიუჟეტში აქცენტირებულია რომ ისე შეირჩა და დაპროექტდა რიგი საზოგადოებრივი საპირფარეშო, რომ შესაბამის ადგილზე კანალიზაციის ქსელი არ არსებობდა და შესაბამისად საპირფარეშოს გამოუყენებელს ხდიდა. კანალიზაციის ქსელის არ არსებობასთან დაკავშირებით ბრალდების ადრესატი ქ. თბილისის მერია იყო, იქმნებოდა ასოციაცია, რომ დღეს მოქმედმა თბილისის მთავრობამ ისე შეარჩია ადგილები საპირფარეშოების მოსაწყობად, რომ არ გაითვალისწინა საკანალიზაციო ქსელის არსებობა/არ არსებობის ფაქტი. შესაბამისად იმ ფაქტის მიჩქმალვა, რომ პრობლემურ ლოკაციებზე საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოწყობა გადაწყდა და დაიგეგმა ქ. თბილისის წინა მთავრობის მიერ, წარმოადგენს ქარტიის მე-3 პრინციპის დარღვევას.

ქარტიის მე-7 პრინციპის თანახმად: “ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერდისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოსნებისმიერიპირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალურიორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების,ეროვნულიან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით”. განმცხადებელი მე-7 პრინციპის დარღვევად მიიჩნევდა წამყვან გიორგი გაბუნიას ტექსტს, როცა სიუჟეტის შემდეგ იგი აღნიშნავს: „ალბათ დავით ნარმანიას დაავიწყდა, რომ ის დედაქალაქის მერადაირჩიეს და ისევ სადმე სოფელში ჰგონიათავი, სადაც ტუალეტებს დიდი ორმოების თავზეაშენებენ კანალიზაციის გარეშე.“ ქარტიის საბჭო მიიჩნევს, რომ წამყვანის ტექსტი არის დისკრიმინაცია გეოგრაფიული წარმომავლობის ნიშნით. დავით ნარმანიას წარმომავლობასა და უკანალიზაციო საპირფარეშოების პრობლემის ერთმანეთთან დაკავშირება ატარებს დისკრიმინაციულ ხასიათს, რომ თითქოს კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში მცხოვრები პირებისთვის მისაღები და დამაკმაყოფილებელია ის რაც არ შეეფერება ქვეყნის დედაქალაქს. ღირსეული საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის უფლება აქვს ყველა პირს, მიუხედავად მისი საცხოვრებელი ადგილისა. ის გარემოება, რომ სხვადასხვა ინფრასტრუქტურული თუ ეკონომიკური მიზეზების გამო კონკრეტული პირები ვერ ახერხებენ ღირსეული და სასურველი საცხოვრებელი პირობების შექმნას, არ ნიშნავს,

რომ მათთვის მიღებულია საყოფაცხოვრებო პირობების დაბალი სტანდარტი.

ქარტიის მე-11 პრინციპის თანახმად: „ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულადუნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: ფაქტის განზრახ დამახინჯება“.განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ გიორგი გაბუნიამ განზრახ გაავრცელა არასწორი ინფორმაცია. საბჭო მიიჩნევს, რომ განზრახვას არ ჰქონია ადგილი. აღსანიშნავია, რომ თავად გიორგი გაბუნია არ იყო სიუჟეტის ავტორი და ლოგიკურად დასაშვებია, არ სცოდნოდა, რომ საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოწყობის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იყო დავით ნარმანიას უფლებამოსილების ცნობამდე. საბჭო მიიჩნევს, რომ არასწორი ფაქტი გავრცელდა გიორგი გაბუნიას მიერ სიუჟეტის სუბიექტური შეფასების/ინტერპრეტაციის და ფაქტების გადაუმოწმებლობის საფუძველზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭომ მიიჩნია:

1. გიორგი გაბუნიამ დაარღვია ქარტიის პირველი და მე-7 პრინციპი.
2. მაია ლომიძემ დაარღვია ქარტიის მე-3 პრინციპი.
3. გიორგი გაბუნიას არ დაურღვევია ქარტიის მე-11 პრინციპი.

სახალხო დამცველი გიორგი მგელაძის წინააღმდეგ

საბჭოს თავმჯდომარე: მაია მეცხვარიშვილი
საბჭოს წევრები: ნინო ჯაფიაშვილი, თაზო კუპრეიშვილი, ჯაბა ანანიძე, თეა ზიბზიბაძე, თამარ უჩიძე.
განმცხადებელი: სახალხო დამცველი
მოპასუხე: გიორგი მგელაძე

აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს განცხადებით მომართა სახალხო დამცველის აპარატმა. განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ 2016 წლის 10 ივნისს, „სტუდია მონიტორის“ მიერ გამოქვეყნებული ვიდეო სიუჟეტით: „ვისთვის შეიძინა უჩა ნანუაშვილმა 105 ლარიანი ავტომანქანა“ და 16 ივნისს გამოქვეყნებულ კიდევ ერთი ვიდეო სიუჟეტში, რომელიც ეხებოდა სახალხო დამცველის მოადგილის, ნათია კაციტაძის მძღოლის მიერ სახალხო დამცველის მფლობელობაში არსებული ავტომობილის შეძენას, დაირღვა ქარტიის პირველი, მე-7 და მე-11 პრინციპი. აღნიშნულ სიუჟეტებთან დაკავშირებით სარედაქციო პასუხისმგებლობა აიღო „სტუდია მონიტორის“ რედაქტორმა გიორგი მგელაძემ.

საქმის განხილვას დაესწრო როგორც განმცხადებლის წარმომადგენელი, ისე მოპასუხე ჟურნალისტი.

სამოტივაციო ნაწილი:

1. ვიდეო სიუჟეტი: „ვისთვის შეიძინა უჩა ნანუაშვილმა 105 ლარიანი ავტომანქანა“.
ქარტიის პირველი პრინციპის მიხედვით, „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლესდა საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“.

განმცხადებლის აზრით, სიუჟეტში პირველი პრინციპი დაირღვა ჟურნალისტის შემდეგი ფრაზით: „სტუდია მონიტორის ინფორმაციით, უჩა ნანუაშვილის გადაწყვეტილებით Mercedes-benz GLA მის მოადგილეს ნათია კაციტაძეს უნდა ესარგებლა“. განმცხადებელი აპელირებდა, რომ ინფორმაცია, Mercedes-benz GLA-ით ნათია კაციტაძეს უნდა ესარგებლა არასწორი იყო. განმცხადებელმა წარმოადგინა სახალხო დამცველის 2016 წლის 5 აპრილის N118 ბრძანება, რომლის თანახმად, Mercedes-benz GLA განთავსებული იყო ავტოსადგომზე და კონკრეტული პირისათვის არ იყო მფლობელობაში გადაცემული.

საბჭო ვერ დაეთანხმება განმცხადებლის შეფასებას და მიიჩნევს, რომ ჟურნალისტს მტკიცებით ფორმაში არ გაუვრცელებია ინფორმაცია, რომ Mercedes-benz GLA-ით ნათია კაციტაძეს უნდა ესარგებლა, შემდეგ გარემოებათა გამო:

1. ჟურნალისტი უთითებს, რომ ინფორმაცია [შეძენელი Mercedes-benz GLA სარგებლობისათვის გადაეცა ნათია კაციტაძის მძღოლს] მას მიაწოდა წყარომ და მთელი სიუჟეტის განმავლობაში ჟურნალისტი ცდილობს ამ ინფორმაციის გადამოწმებას. სადავო ფრაზას წინ

უძღვის ჟურნალისტის ტექსტი: „ვისთვის არის განკუთვნილი 105 000 ლარად შეფასებული ავტომანქანა?“ ანუ ჟურნალისტი სვამს კითხვას, შემდეგ მაყურებელს აწვდის მისთვის კონფიდენციალური წყაროს მეშვეობით ცნობილ ინფორმაციას და შემდეგ მისი გადამოწმების მიზნით კითხვებით მიმართავს მეორე მხარეს – სახალხო დამცველს უჩა ნანუაშვილს და მის მოადგილეს ნათია კაციტაძეს. ჟურნალისტი უჩა ნანუაშვილს სთხოვს კომენტარს სახალხო დამცველის 2016 წლის 28 მარტის N113 ბრძანებაზე, რომლის თანახმად ავტომობილი გადაეცა ნათია კაციტაძის მძღოლს, ნიკოლოზ ბალიაშვილს. თავის მხრივ სახალხო დამცველი პასუხობს, რომ ავტომობილი არ არის განპირობებული რომელიმე თანამშრომელზე და ის გამოიყენება საჭიროებისამებრ. ჟურნალისტი კომენტარისათვის ასევე უკავშირდება ნათია კაციტაძეს, რომელიც თავის მხრივ ასევე უარყოფს, რომ მას [მისი მძღოლს] გადაეცა შეძენილი Mercedes-benz GLA.

2. ჟურნალისტმა ერთდროულად, ერთ დღეს გაგზავნილი ორი სხვადასხვა წერილით სახალხო დამცველის ოფისისგან გამოითხოვა 2016 წლის 28 მარტის N113 ბრძანება და ასევე ყველა ის ბრძანება, რომელიც დაკავშირებული იყო ავტომობილ Mercedes-benz GLA-ს შეძენასთან.

- ჟურნალისტს ოფისისგან დაშტრიხული [წაშლილი იყო იმ პირის სახელი და გვარი, რომელსაც სარგებლობაში გადაეცა Mercedes-benz GLA] სახით მიეწოდა 2016 წლის 28 მარტის N113 ბრძანება. თავის მხრივ ჟურნალისტი ასევე აქვეყნებს კონფიდენციალური წყაროს მიერ მიწოდებულ დაუშტრიხავ N113 ბრძანებას, რომელშიც მითითებულია, რომ ავტომობილი გადაეცა ნათია კაციტაძის მძღოლს ნიკოლოზ ბალიაშვილს, რომელიც ნათია კაციტაძის მძღოლია, ეს ფაქტო არც ერთ მხარეს არ უარუყვია.
- სიუჟეტის მომზადებამდე სახალხო დამცველის ოფისიდან ჟურნალისტისთვის არ მიუწოდებიათ სხვა ბრძანებები, მათ შორის 2016 წლის 5 აპრილის N 118 ბრძანება, რომლის მიხედვით Mercedes-benz GLA განთავსდა ავტოსადგომზე და არ იყო მფლობელობაში გადაცემული კონკრეტული პირისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საბჭო თვლის, რომ ქარტიის პირველი პრინციპი არ დარღვეულა ვინაიდან:

- ჟურნალისტს ინფორმაცია [Mercedes-benz GLA-ით ნათია კაციტაძეს უნდა ესარგებლა] მტკიცებით ფორმაში არ გაუვრცელებია.
- მიუთითა, რომ ინფორმაცია მას კონფიდენციალურმა წყარომ მიაწოდა.
- წარმოადგინა მტკიცებულება [2016 წლის 28 მარტის N113 ბრძანება], რომელიც წყაროს ინფორმაციას ამყარებდა.
- კომენტარისათვის მიმართა მეორე მხარეს [უჩა ნანუაშვილს, ნათია კაციტაძეს] და მათი კომენტარები გააცნო მაყურებელს.
- მოთხოვნის მიუხედავად, სახალხო დამცველის ოფისისაგან არ მიუღია 2016 წლის 5 აპრილის N 118 ბრძანება.

შესაბამისად, ჟურნალისტი შეეცადა გადაემოწმებინა მიღებული ინფორმაცია, ყველა შესაძლო რესურსი გამოეყენებინა ინფორმაციის გადასამოწმებლად, რათა საზოგადოებას ფაქტთან დაკავშირებით მიეღო ყველა ინფორმაცია, ყველა შესაძლო რელევანტური მხარის პოზიცია და თავად მაყურებელს შეეფასებინა Mercedes-benz GLA განკუთვნილი იყო თუ არა ნათია კაციტაძისთვის.

ამავე სიუჟეტთან დაკავშირებით განმცხადებელი ასევე მიუთითებდა, რომ ჟურნალისტის ტექსტი: „ომბუდსმენის აპარატში მალავენ ვისთვისაა გადაცემული მერსედესი“ ასევე არღვევდა ქარტიის პირველ პრინციპს. საბჭო ვერ გაიზიარებს განმცხადებლის პოზიციას და ფიქრობს, რომ ჟურნალისტს სრული უფლება ჰქონდა მიეჩნია, რომ იმალებოდა ინფორმაცია, ვინაიდან:

1. მას არ მიაწოდეს ავტომობილთან დაკავშირებული ყველა ბრძანება.
2. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტს ხელთ ჰქონდა 2016 წლის 28 მარტის N113 ბრძანება, რომლის მიხედვითაც ავტომობილი გადაეცა ნათია კაციტაძის მძღოლს, ეს ინფორმაცია უარყო როგორც უჩა ნანუაშვილმა, ისე ნათია კაციტაძემ.

ქარტიის მე-7 პრინციპის თანახმად: „ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე. ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რა-

სის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნულიან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით“. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ ვიდეო სიუჟეტების გავრცელებამ გამოიწვია ნათია კაციტაძის გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია, კერძოდ ვიდეოს გაზიარებისას ან მისი კომენტარებისას აქცენტს აკეთებდნენ, რომ ავტომობილის შეძენა იყო სარგებელი, რომელიც ნათია კაციტაძემ დაიმსახურა მისი სქესის გამო.

საბჭო მიუთითებს რომ, თავად სადავო ჟურნალისტურ პროდუქტში პირდაპირ ან ირიბად არსად გვხვდება მითითება სავარაუდო სარგებლის მიმღები პირის სქესზე ან სქესიდან გამომდინარე უპირატესობაზე. ვიდეოს გამავრცელებელი მედიასაშუალების [სტუდია მონიტორი] მიერ პერიოდულად იშლებოდა ყველა კომენტარი, რომელიც შეიცავდა შეურაცხმყოფელ მოსაზრებებს, რაც შეეხება სხვა პირების მიერ თავიანთ გვერდზე გაკეთებულ შეფასებებს, მათზე ვერ გავრცელდება ჟურნალისტის პასუხისმგებლობა. ქარტიის მე-11 პრინციპის თანახმად: „ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: ფაქტის განზრახ დამახინჯება“ ვინაიდან არ დადგინდა პირველი პრინციპის დარღვევა, შესაბამისად, მე-11 პრინციპი ვერ დაირღვეოდა.

2. ვიდეო სიუჟეტი, რომელიც ეხებოდა სახალხო დამცველის მოადგილის, ნათია კაციტაძის მძღოლის მიერ სახალხო დამცველის მფლობელობაში არსებული ავტომობილის შეძენას

ქარტიის პირველი პრინციპის მიხედვით, „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია“.

განმცხადებელი აპელირებდა იმ ტექსტზე, რომელიც აღწერის სახით თან ახლდა ვიდეო სიუჟეტს კერძოდ: „სტუდია “მონიტორმა” გაარკვია, რომ სახალხო დამცველის მოადგილის, ნათია კაციტაძის მძღოლი, ნიკოლოზ ბალიაშვილი კიდევ ერთ მანქანას Hyunday Tucson-სფლობს. “სტუდია მონიტორი” გასულ კვირასმოგითხრობდათ, რომ სახალხო დამცველმა105 ათას ლარად ავტომანქანა Mercedes –Benz GLA შეიძინა“.

განმცხადებელმა აღნიშნა, ტექსტის და თავად სიუჟეტის მიხედვით რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ნიკოლოზ ბალიაშვილი სწორედ იმიტომ ფლობდა Hyunday Tucson-ს,რომ ნათია კაციტაძის მძღოლი იყო. ამასთან განმცხადებელმა ვერ მიუთითა, კონკრეტულად რა ინფორმაცია იყო არასწორი, შესაბამისად, პირველი პრინციპის [არასწორი ან გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება] დარღვევა არ დადგინდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე:
1. გიორგი მგელაძეს არ დაურღვევია პირველი, მე-7 და მე-11 პრინციპი.

სახალხო დამცველი ნათია ამირანაშვილის წინააღმდეგ

საბჭოს თავმჯდომარე: გიორგი მგელაძე
საბჭოს წევრები: ჯაბა ანანიძე, თეა ზიბზიბაძე, თამარ უჩიძე, თაზო კუპრეიშვილი, მაია მეცხვარიშვილი.
განმცხადებელი: სახალხო დამცველი
მოპასუხე: ნათია ამირანაშვილი

აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს განცხადებით მომართა სახალხო დამცველმა. განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ 2016 წლის 16 ივნისს, ვებგვერდზე liberali.ge, ნათია ამირანაშვილის ავტორობით გამოქვეყნებული სტატიებით “105 000-ლარიანი მანქანა ნათია კაციტაძისთვის” - დამალა თუ არანანუაშვილმა ინფორმაცია” და “ჭანტურაია: სახალხო დამცველს პირდაპირ აქვს ნათქვამი, რომ ჭორაობის გამო დამსჯიდა”, დაირღვა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები.

საქმის განხილვას დაესწრო როგორც განმცხადებლის წარმომადგენელი, ისე მოპასუხე ჟურნალისტი.

შენიშვნა: საქმის განხილვის დახურულ ეტაპში მონაწილეობა არ მიუღია გიორგი მგელაძეს, რომელმაც სტატიებში მითითებულ საკითხზე თავადაც მოამზადა ჟურნალისტური პროდუქტი.

მან შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით თავი შეიკავა განხილვაში მონაწილეობისაგან.

სამოტივაციო ნაწილი:

1. სტატია: "105 000-ლარიანი მანქანა ნათია კაციტაძისთვის" - დამალა თუ არა ნანუაშვილმა ინფორმაცია", სადავო პრინციპები: პირველი, მე-3, მე-4, მე-7 და მე-11.

ქარტიის პირველი პრინციპის მიხედვით, "ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია".

სადავო სტატია ეხებოდა სახალხო დამცველის აპარატის მიერ 105 000 ლარის ღირებულის ავტომობილის, Mercedes-benz GLA-ს შეძენას. სტატიაში ჟურნალისტი ცდილობდა გაერკვია, თუ ვისთვის იყო განკუთვნილი შეძენილი ავტომობილი, კერძოდ, ის მოემსახურებოდა კონკრეტულ პირს სახალხო დამცველის აპარატში თუ გამიზნული იყო საერთო საჭიროებებისთვის. ასევე, დამალა თუ არა სახალხო დამცველმა ინფორმაცია ავტობობილის შეძენის მიზნებთან დაკავშირებით.

სტატიის სათაური მკითხველს ატყობინებს, რომ 105 ათას ლარიანი მანქანა ნათია კაციტაძისთვის არის შეძენილი. საბჭოს სხდომაზე ჟურნალისტმა განმარტა, რომ სტატიის მიზანი იყო ეჩვენებინა - მალავდა თუ არა სახალხო დამცველი ინფორმაციას, რადგან მოპოვებული მასალებით მან ვერ შეძლო დაედასტურებინა, რომ მანქანა კაციტაძისთვის იყო შეძენილი. ჟურნალისტმა განმარტა, რომ სათაურის პირველი ნაწილი - 105 ათას ლარიანი მანქანა ნათია კაციტაძისთვის - ჩასმული იყო ბრჭყალებში, რაც მიუთითებდა, რომ ეს იყო ერთ-ერთი წყაროს, ილია ჭანტურაია ციტატა, თუმცა, არც სათაურშია მითითებული და არც სტატიაში იძებნება მსგავსი ციტატა, რაც გაამართლებდა სათაურის ბრჭყალებში ჩასმას და შემდგომ მკითხველისათვის ნათელი იქნებოდა, რომ სათაური არა დადასტურებული ფაქტი, არამედ კონკრეტული პირის მოსაზრება იყო. შესაბამისად, საბჭო სათაურს განიხილავს, როგორც ჟურნალისტის მიერ დადასტურებული ფაქტის [105 000-ლარიანი მანქანა ნათია კაციტაძისთვის] გავრცელებას. საბჭომ მიიჩნია, რომ ეს ინფორმაცია არ არის ზუსტი, ვინაიდან ზუსტ ინფორმაციად ითვლება მინიმუმ ორ წყაროსთან გადამოწმებული ინფორმაცია.

ჟურნალისტმა საბჭოს განუმარტა, რომ მას ჰქონდა სახალხო დამცველის 2016 წლის 28 მარტის N113-ე ბრძანება, რომელშიც მითითებული იყო, რომ ავტომობილი Mercedes-benz GLA კონკრეტულ პირს გადაეცა, ოღონდ აღნიშნული ბრძანებიდან არ დგინდებოდა [წარმოდგენილი იყო დაშტრიხული სახით] ამ პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები [სახელი და გვარი]. სტატიაში, წყაროზე [სახალხო დამცველის აპარატის ყოფილი თანამშრომელი ილია ჭანტურაია] დაყრდნობით ჟურნალისტი უთითებდა, რომ პირი, რომლის მონაცემებიც არ დგინდებოდა ბრძანებით, იყო ნიკოლოზ ბალიაშვილი, სახალხო დამცველის მოადგილის, ნათია კაციტაძის პირადი მძღოლი.

ამდენად, ჟურნალისტი დაეყრდნო ერთ წყაროს - ილია ჭანტურაიას. ამასთან ეს ერთი წყაროც იყო მიკერძოებული პირი, ვინაიდან მას შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე, სახალხო დამცველის აპარატის მიერ დაკისრებული ჰქონდა დისციპლინარული პასუხისმგებლობა და სახალხო დამცველის, უჩა ნანუაშვილის მიმართ კრიტიკული პოზიცია ჰქონდა, რაც წყაროს სანდოობის სტატუსს ამცირებს და ასეთი წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია კიდევ უფრო მეტ გადამოწმებას საჭიროებს.

ჟურნალისტს ასევე მიღებული ჰქონდა ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატისაგან [2016 წლის 09 ივნისის წერილი], რომ Mercedes-benz GLA განთავსებულია ავტოსადგომზე და სამსახურებრივი მიზნებისთვის მისი მიმაგრება კონკრეტულ თანამშრომელზე საჭიროების შესაბამისად ხდება.

რეალურად, სათაური და რესპონდენტ ჭანტურაიას განმარტება, რომ კაციტაძის მძღოლზე იქნა მანქანა განკარგვისთვის გადაცემული, მოიცავს ინფორმაციის დადასტურებულად გადმოცემის მცდელობას, რომ მანქანა იყო შეძენილი ნათია კაციტაძისთვის, რისი დამტკიცებაც, როგორც თავად ჟურნალისტიც დაეთანხმა საბჭოს სხდომას, არ მოუხდენია და ეს არც იყო მისი მიზანი მოცემულ სტატიაში.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე

ჟურნალისტმა დადასტურებული ფაქტის სახით არ იცოდა, რომ ავტომობილი Mercedes-benz GLA გადაეცა ნათია კაციტაძის მძღოლს, ნიკოლოზ ბალიაშვილს და შესაბამისად, პირველ პრინციპთან შეუსაბამოდ უნდა ჩაითვალოს სტატიის დასათაურება.

ქარტიის მესამე პრინციპის თანახმად: "ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია. ჟურნალისტმა არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები, არ უნდა გააყალბოს დოკუმენტები და ინფორმაცია". განმცხადებელი აღნიშნულ პრინციპთან მიმართებით აღნიშნავდა, რომ ჟურნალისტმა იცოდა, რომ ავტომობილი არ იყო განკუთვნილი ნათია კაციტაძისათვის და მან ეს ინფორმაცია დამალა. სადავო ჟურნალისტურ პროდუქტში მითითებული იყო სახალხო დამცველის პასუხი: "Mercedes-benz GLA განთავსებულია ავტოსადგომზე და სამსახურებრივი მიზნებისთვის მისი მიმაგრება კონკრეტულ თანამშრომელზე საჭიროების შესაბამისად მოხდება". შესაბამისად, ჟურნალისტმა მასალაში სრულად ასახა ის ინფორმაცია, რაც მან მიიღო სახალხო დამცველისგან და არ მიუჩქმალავს ფაქტები.

ქარტიის მე-4 პრინციპის თანახმად: "ინფორმაციის, ფოტოების ან დოკუმენტების მოპოვებისას ჟურნალისტმა მხოლოდ კეთილსინდისიერი და სამართლიანი მეთოდები უნდა გამოიყენოს". განმცხადებელი უთითებდა, რომ აღნიშნული პრინციპი დაირღვა სტატიაზე თანდართული ფოტოსურათის გამოყენებით. ორივე მხარემ დაადასტურა შემდეგი გარემოები: ფოტოსურათი, რომელიც გამოყენებული იყო სტატიაში და სადაც ერთად დგანან საჯარო პირები - სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი და მისი მოადგილე ნათია კაციტაძე, გადაღებულია არაფორმალურ გარემოებაში, მოპოვებულია საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან, ორიგინალ ფოტოსურათში არის ოთხი პირი, რომელთაგანაც ორი ჩამოჭრილია ისე, რომ ფოტოსურათზე პირების განლაგება არ არის შეცვლილი და დაუმუშავებელ ფოტოშიც უჩა ნანუაშვილი და ნათია კაციტაძე ერთმანეთის გვერდით დგანან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭო მიიჩნევს, რომ არ მომხდარა ფოტოს არაკეთილსინდისიერი მოპოვება ან გამოყენება. განმცხადებელი აპელირებდა, რომ ჟურნალისტს შეეძლო გამოეყენებინა ოფიციალურ გარემოში გადაღებული სხვა ფოტო, მაგრამ მსგავსი საკითხის განხილვა და ამ კუთხით სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევა, არ არის საბჭოს კომპეტენცია.

ქარტიის მე-7 პრინციპის თანახმად: "ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოსნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვაშეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით". განმცხადებელი მიუთითებდა, რომ სახეზე იყო გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია, ვინაიდან სათაურში გამოტანილი იყო პირის სახელი და გვარი [ნათია კაციტაძე] და არა მისი თანამდებობა, რაც იწვევდა ქალი მენეჯერების დისკრიმინაციას. კერძოდ, ნათია კაციტაძის მიერ გარკვეული უპირატესობის მიღება [ავტომობილის შეძენა] მკითხველს შეიძლება აღექვა როგორც სარგებელი, რომელიც ნათია კაციტაძემ დაიმსახურა მისი სქესის გამო. საბჭო მიუთითებს რომ, როცა ჟურნალისტი საუბრობს საჯარო პირზე, მისთვის მნიშვნელოვანია ამ პირის თანამდებობა და არ სქესი, აქვს ობიექტური მოლოდინი, რომ იგივე აღქმა იქნება მკითხველისგანაც. თავად სადავო ჟურნალისტურ პროდუქტში პირდაპირ ან ირიბად არსად გვხვდება მითითება სავარაუდო სარგებლის მიმღები პირის სქესზე ან სქესიდან გამომდინარე უპირატესობაზე, შესაბამისად, ქარტიის მე-7 პრინციპი დარღვეული არ ყოფილა.

ქარტიის მე-11 პრინციპის თანახმად: "ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: ფაქტის განზრახ დამახინჯება".განსახილველ შემთხვევაში ქარტიის საბჭო მე-11 პრინციპს დარღვეულად არ მიიჩნევს, ვინაიდან არ დგინდება ჟურნალისტის განზრახვა თუ რატომ უნდა გაევრცელებინა არასწორი ინფორმაცია, ამასთან პირველი პრინციპის დარღვევა დადგინდა იმ საფუძვლით, რომ ჟურნალისტს საკმაო მტკიცებულებები არ ჰქონდა იმისათვის, რომ კონკრეტული ფაქტი მტკიცებით ფორმაში ეთქვა და არ დადგენილა, რომ ჟურნალისტმა იცოდა სწორი ფაქტი და მიუხედავად იმისა, მაინც არაზუსტი ინფორმაცია გაავრცელა.

2. სტატია ჭანტურაია: "სახალხო დამცველს პირდაპირ აქვს ნათქვამი, რომ ჭორაობის გამო დამსჯიდა", სადავო პრინციპები პირველი, მე-5 და მე-11.

ქარტიის პირველი პრინციპის მიხედვით "ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია". განმცხადებელი მიუთითებდა, რომ სადავო სტატია შეიცავდა მხოლოდ ერთი მხარის, ილია ჭანტურაიას ინტერვიუს და ამით დარღვეული იყო მხარეთა ბალანსი, რომ მკითხველისათვის ჟურნალისტს მიეწოდებინა გადამოწმებული ინფორმაცია. სადავო ჟურნალისტური პროდუქტი შეიცავს ამონარიდებს სხდომის ოქმიდან, რომელიც ილია ჭანტურაიას შესაძლო გადაცდომის ფაქტის შესწავლის მიზნით გაიმართა სახალხო დამცველის აპარატში და შესაბამისად, ინტერვიუ ეხებოდა თავად ჭანტურაიას შეფასებას ოქმში მითითებულ გარემობებთან დაკავშირებით, შესაბამისად, სახეზე არ გვაქვს ინფორმაციის ცალმხრივად გაშუქება. ამასთან ასეთი ოქმის ნამდვილობა დაადასტურა განმცხადებელმა მხარემაც, თუმცა ის აპელირებდა კონტექსტიდან ამოგლეჯილი ამონარიდების გავრცელებაზე. თუმცა კონკრეტულად რა ფაქტობრივ გარემოებებს გადმოსცემდა არასწორად მასალაში გამოყენებული ოქმები, მხარეს არ მიუთითებია.

განმცხადებელი, ასევე, სადავოდ ხდიდა ქარტიის მე-5 ["მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება"] და მე-11 [ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: ფაქტის განზრახ დამახინჯება], ვინაიდან არ დადგინდა პირველი პრინციპის დარღვევა, შესაბამისად, მე-5 და მე-11 პრინციპებიც ვერ დაირღვეოდა.
სარეზოლუციო ნაწილი:

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე:
1. ნათია ამირანაშვილმა დაარღვია ქარტიის პირველი პრინციპი.
2. ნათია ამირანაშვილს არ დაურღვევია ქარტიის მე-3, მე-4, მე-5, მე-7 და მე-11 პრინციპი.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ირაკლი კიკნაველიძის და თამარ ჩერგოლეიშვილის წინააღმდეგ

საბჭოს თავმჯდომარე: გიორგი მგელაძე
საბჭოს წევრები: ჯაბა ანანიძე, ნინო ჯაფიაშვილი, თეა ზიბზიბაძე, თამარ უჩიძე, მაია მამულაშვილი, მაია მეცხვარიშვილი.
განმცხადებელი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
მოპასუხე: ირაკლი კიკნაველიძე და თამარ ჩერგოლეიშვილი

აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს განცხადებით მომართა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, რომელიც მიიჩნევდა, რომ 2016 წლის 06 აგვისტოს, ვებსაიტზე tabula.ge-ზე გამოქვეყნებულ სტატიაში: **"საია: ივანიშვილს კანონი არ დაურღვევია, საზოგადოებრივი მოძრაობა დააფუძნა"** დაირღვა ქარტიის 1-ლი და მე-3 პრინციპი. სტატია შეეხებოდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პოზიციას მიხეილ სააკაშვილის და ბიძინა ივანიშვილის ქმედებების მიმართ, კერძოდ ორივე მათგანის აქტივობის [როცა ისინი სხვა ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ] სამართლებრივ შეფასებას. სადავო სტატიასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა აიღო ჟურნალისტმა ირაკლი კიკნაველიძემ და რედაქტორმა თამარ ჩერგოლეიშვილმა. საქმის განხილვას დაესწრო როგორც განმცხადებლის წარმომადგენელი, ისე მოპასუხე ჟურნალისტები. ზეპირი განხილვის დროს განმცხადებელმა მოხსნა თავისი მოთხოვნა პირველი პრინციპის მიმართ.

სამოტივაციო ნაწილი

ქარტიის მესამე პრინციპის მიხედვით **"ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია.ჟურნალისტმა არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები, არ უნდა გააყალბოს დოკუმენტები და ინფორმაცია".** განმცხადებელი ფიქრობდა, რომ

სტატიაში მნიშვნელოვანი ფაქტი მიიჩქმალა. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ [შემდგომ "საია"] მიიჩნია, რომ მიხეილ სააკაშვილმა დაარღვია საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლი, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეს უკრძალავს წინასაარჩევნო აგიტაციას და მისი დაჯარიმება მოითხოვა. აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების შემდეგ მოპასუხე ჟურნალისტმა ირაკლი კიკნაველიძემ მიმართა საიას, თუ როგორ აფასებდა ორგანიზაცია ბიძინა ივანიშვილის აქტივობას 2012 წელს გამართული არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში, როცა ბიძინა ივანიშვილი ასევე არ იყო საქართველოს მოქალაქე. საიას პასუხი სტატიაში გადმოცემულია შემდეგი სახით: "საიას განმარტებით, ივანიშვილს დაფუძნებული ჰქონდა არა პოლიტიკური, არამედ საზოგადოებრივი მოძრაობა - "ივანიშვილმა 2011 წლის ოქტომბერში დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა. შესაბამისად, უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ კანონისთანახმად, მას არ ჰქონდა უფლება გამხდარიყო პოლიტიკური გაერთიანების წევრი, მონაწილეობა მიეღო მის საქმიანობაში, ანდა დაეფუძნებინა პარტია.თუმცა, აღნიშნული კანონი მას აძლევდა საზოგადოებრივი გაერთიანების შექნის უფლებას, რა უფლებითაც კანონიერად ისარგებლა კიდეც ივანიშვილმა. შეგახსენებთ, რომ ბიძინა ივანიშვილმა ჯერ დააფუძნა საზოგადოებრივი მოძრაობა 2011 წლის დეკემბერში, ხოლო პარტია 2012 წლის 7 მაისს დაფუძნდა".

საია მე-3 პრინციპის დარღვევად მიიჩნევდა ფაქტს, რომ არ გამოაქვეყნდა საიას პასუხი სრულად, კერძოდ სტატია არ შეიცავდა პასუხის იმ ნაწილს, სადაც მითითებული იყო, რომ საიას არ გააჩნდა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ბიძინა ივანიშვილის მიერ პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობას, ასევე ის ნაწილი, სადაც ხაზგასმული იყო, რომ ბიძინა ივანიშვილს თავად პარტია არ დაუფუძნებია და არც პარტიის წევრი იყო. განმცხადებლის მოსაზრებით, აღნიშნულის მითითება აუცილებელი იყო, ვინაიდან პასუხის მხოლოდ ნაწილის "შეგახსენებთ, რომ ბიძინა ივანიშვილმა ჯერ დააფუძნა საზოგადოებრივი მოძრაობა 2011 წლის დეკემბერში, ხოლო პარტია 2012 წლის 7 მაისს დაფუძნდა" გავრცელებით მკითხველს შეექმნებოდა შთაბეჭდილება, რომ თითქოს პარტიის დაფუძნებაში 2012 წლის 07 მაისს მონაწილეობას იღებდა ბიძინა ივანიშვილი. ქარტიის საბჭო ვერ დაეთანხმება განმცხადებლის მოსაზრებას, ვინაიდან სტატიაში საიას პოზიციას წინ უძღვის ჟურნალისტის ტექსტი: "საიას განმარტებით, ივანიშვილს დაფუძნებული ჰქონდა არა პოლიტიკური, არამედ საზოგადოებრივი მოძრაობა". შესაბამისად, მკითხველისათვის ცნობილი და აღქმადი იყო, რომ ბიძინა ივანიშვილს ოფიციალურად პარტია არ დაუფუძნებია. საბჭო ასევე არ თვლის ფაქტის მიჩქმალვად იმას, რომ სტატიაში არ იყო მითითება იმ გარემოებებზე, რომელზე დაყრდნობითაც საიამ ჩათვალა, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ საქმიანობაში არ მონაწილეობდა. საია, როგორც პროფესიული ორგანიზაცია, აკეთებს და საზოგადოებას, მათ შორის მედია საშუალებების მეშვეობით, აწვდის პოზიციას/მოსაზრებებს. მსგავსი ტიპის სტატიაში იმაზე არ მითითება თუ რა სიღრმისეული, ფაქტობრივი თუ სამართლებრივი კვლევა უდევს ამ დასკვნას საფუძვლად, არ არის ფაქტის მიჩქმალვა. მთავარია, რომ მედიასაშუალებამ უზრუნველყო საიას პოზიციის [ბიძინა ივანიშვილი არ იყო ჩართული პოლიტიკურ საქმიანობაში] მკითხველისადმი ზუსტად მიწოდება.

სარეზოლუციო ნაწილი

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:
1. ირაკლი კიკნაველიძეს და თამარ ჩერგოლეიშვილს არ დაურღვევიათ ქარტიის მე-3 პრინციპი.

პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის ნანიკო ხაზარაძის, სოფიკო ნარჩემაშვილის, ეკა ამირეჯიბის, ლელა მებურიშვილის და თამარ ღვინიანიძის წინააღმდეგ

საბჭოს თავმჯდომარე: გიორგი მგელაძე საბჭოს **წევრები:** ჯაბა ანანიძე, ნინო ჯაფიაშვილი, თეა ზიბზიბაძე, თამარ უჩიძე, მაია მამულაშვილი, მაია მეცხვარიშვილი.
განმცხადებელი: პარტნიორობა ადამიანის უფ-

ლებებისთვის

მოპასუხე: ნანიკო ხაზარაძე, სოფიკო ნარჩემაშვილი, ეკა ამირეჯიბი, ლელა მებურიშვილი და თამარ ღვინიანიძე

აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს განცხადებით მომართა "პარტნიორობამ ადამიანის უფლებებისთვის", რომელიც მიიჩნევდა, ტელეკომპანია "იმედის" ეთერში, 2016 წლის 31 ოქტომბერს, გადაცემა "დღის შოუში" დაირღვა ქარტიის მე-7 და მე-8 პრინციპი. კერძოდ, განმცხადებლის პოზიციით, პრინციპები დაირღვა ერთ-ერთი ეპიზოდით, როცა დედის და სხვა პირების თანდასწრებით რამდენიმე თვის ასაკის ბავშვს გაუხვრიტეს ყური. მოპასუხეებიდან ნანიკო ხაზარაძე, სოფიკო ნარჩემაშვილი, ეკა ამირეჯიბი და ლელა მებურიშვილი იყვნენ გადაცემის წამყვანები, ხოლო თამარ ღვინიანიძე - მთავარი პროდიუსერი. საქმის განხილვას დაესწრო განმცხადებლის წარმომადგენელი, ხოლო საპასუხო პოზიცია წერილობით მიწოდა საბჭოს თამარ ღვინიანიძემ.

სამოტივაციო ნაწილი:

ქარტიის მე-8 პრინციპის თანახმად "ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები, პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. ჟურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდს მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება".

როგორც აღწერილობით ნაწილში ითქვა, გადაცემის დროს დედის და სხვა პირების თანდასწრებით ბავშვს ჩაუტარეს სამედიცინო პროცედურა, კერძოდ, გაუხვრიტეს ყურები. სიუჟეტიდან ცალსახა იყო, რომ არასრულწლოვანი განიცდიდა ფიზიკურ და ემოციურ ტკივილს, რაც პროცედურის დაწყებამდე დამსწრე ექიმმაც დაადასტურა: "ერთდროულადარისცოტასტრესი, ტრამვა". ბავშვზე საჯაროდ განხორციელდა იძულება [ყურების გახვრეტა] შესაბამისი აუცილებლობის გარეშე, რაც მოწონებული და გავრცელებული იქნა მედია საშუალების მიერ. საბჭო ეთანხმება განმცხადებლის პოზიციას, რომ "მედია საზოგადოებას არ უნდა აძლევდეს ბავშვის მიმართ ძალადობრივი და არაეთიკური მოპყრობის მოდელს". "პროცედურას [ყურის გახვრეტას] არ ჰქონდა არანაირი საგანმანათლებლო ან სხვა ლეგიტიმური მიზანი, არამედ, იყო შოუს ელემენტის შემცველი, რამაც დაარღვია ბავშვის ფუნდამენტური უფლება იყოს ფიზიკური და ემოციური ძალადობისგან დაცული". განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ბავშვზე იძულების ფაქტს ესწრებოდა და უყურებდა სხვა არასრულწლოვანიც, რომელსაც ასევე აქტიურად რთავდნენ წამყვანები პროცესში და მიმართავდნენ - "ხომ არ გინდა შენც ყურში ნახვრეტი?", "ხომ არ გეშინია?". ის დააყენეს მეორე არასრულწლოვნის გვერდით "დახმარების" მიზნით. მნიშვნელოვანია, რომ დამსწრე, შედარებით უფროსი არასრულწლოვნის სტრესი, უყურებდა რა სხვა ბავშვის ტირილს და უარყოფით ემოციებს, საერთოდ უგულვებელყოფილი იქნა.

მოპასუხის პოზიციით, პირდაპირ ეთერში მსგავსი სამედიცინო პროცედურის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს მას შემდეგ, რაც მათთვის ცნობილი გახდა პედიატრების პოზიცია, რომ ადრეულ ასაკში ყურის გახვრეტა ბავშვისთვის უმჯობესია, "ვინაიდან ბავშვი ბიბილოზე ხელს ნაკლებად იკიდებს და ყურიც არ ღიზიანდება. თანაც, ყურის გახვრეტის ეს მეთოდი იმდენად სწრაფია, რომ გამორიცხავს ტკივილის შეგრძნებას". ამასთან მოპასუხის თქმით, ვერ გაითვალისწინეს ბავშვის ის რეაქცია, რომელიც უშუალოდ პროცედურას შეიძლებოდა მოჰყოლოდა. მოპასუხემ ასევე აღნიშნა, რომ "სრულ პასუხისმგებლობას ვიღებთ ჩვენ შეცდომაზე, თუმცა კიდევ ერთხელ გვსურს აღვნიშნოთ, რომ "შოუს მოწყობის" წინასწარი ბოროტი ზრახვები, რომლის მიზანიც ბავშვზე ემოციური ზეწოლაა, არ გვამოძრავებდა". საბჭო მიესალმება მოპასუხის პოზიციას, ვინაიდან ის შეესაბამება საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ერთ - ერთ მთვარ მიზანს, მოხდეს ეთიკურ ჟურნალისტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და გააზრება მათი შემდგომში თავიდან აცილების მიზნით, რათა განისაზღვროს და დაიხვეწოს ეთიკური ჟურნალისტიკის პრინციპები საბჭო ასევე მიზანშეწონილად მიჩნევს, იმსჯელოს რამდენად ათავისუფლებს ჟურნალისტს პასუ-

ხისმგებლობისაგან მშობლის თანხმობა/თანდასწრება ბავშვთან დაკავშირებული ჟურნალისტური პროდუქტის მომზადებისას. საბჭომ არა ერთხელ აღნიშნა [მაგალითად გადაწყვეტილებაში საქმეზე "სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი" თამარ ფხაკაძის წინააღმდეგ], რომ "ჟურნალისტის ვალდებულება, რომ დაიცვას ბავშვთა უფლებები და ინტერესები გამომდინარეობს, მისი, როგორც პროფესიონალის დამოკიდებულებიდან ასეთი უფლებებისა და ინტერესებისადმი" და ამ ვალდებულებისაგან მას არ ათავისუფლებს კანონიერი წარმომადგენელის თანხმობა, ასეთი თანხმობის არსებობის შემთხვევაშიც, ჟურნალისტმა დამატებით უნდა შეაფასოს, მის მიერ მომზადებული ჟურნალისტური პროდუქტი ხომ არ ხელყოფს არასრულწლოვნის ინტერესებს.

ქარტიის მეშვიდე პრინციპის მიხედვით "ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე. ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით". გადაცემის მიმდინარეობისას, ერთ - ერთი წამყვანი ნანიკო ხაზარაძე, არასრულწოვანისათვის ყურის გახვრეტის პროცესში რეპლიკის სახით აღნიშნავს "შეხედე ნაღდი ქალია", ხოლო მეორე წამყვანი ეკა ამირეჯიბი აღნიშნავს, რომ "ასეთ ასაკში დედები იღებენ უფრო მეტწილად გადაწყვეტილებას გაუხვრიტონ თუ არა ბავშვს ყური". ორივე ფრაზა თავისი შინაარსით სტიგმას აძლიერებს და შესაბამისად დისკრიმინაციულია. კერძოდ, პირველი ფრაზა ამყარებს შეხედულებას, რომ ესა თუ ის ქმედება ან გარეგნობის შტრიხი [ამ შემთხვევაში საყურე] მხოლოდ ქალებისთვის არის დამახასიათებელი, ხოლო მეორე ფრაზა ხაზს უსვამს მამების როლის დაკნინებას ბავშვის აღზრდის პროცესში და ზოგადად მეუღლეებს/მშობლებს შორის საოჯახო ან ბავშვთა აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით "სფეროების" გადანაწილებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე:
1. ნანიკო ხაზარაძემ, სოფიკო ნარჩემაშვილმა, ეკა ამირეჯიბმა, ლელა მებურიშვილმა და თამარ ღვინიანიძემ დაარღვიეს ქარტიის მე-8 პრინციპი.
2. ნანიკო ხაზარაძემ და სოფიკო ნარჩემაშვილმა დაარღვიეს ქარტიის მე-7 პრინციპი.

ganMukhtarli
FREE